ეროვნული
ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ მთავრობის დადგენილებათა კრებული

№ 1 იანვარი-თებერვალი 1973 წ.

შინაარსი

14.303

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს, საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს და საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის დადგენილებები.

1. 1973 წელს მარცვლეულის, ხარისხოვანი ჩაის ფოთლის, ყურძნის, ხილისა და მიწათმოქმედების სხვა პროდუქტების წარმოებისა და დამზადების გადიდებისათვის სოფლის მეურნეობის მუშაკთა სოციალისტური შეჯიბრების გაშლის შესახებ.
2. 1973 წლის სახალხო-სამეურნეო გეგმის ვადამდე შესრულებისათვის საქართველოს მრეწველობის, მშენებლობისა და ტრანსპორტის მუშაკთა სოციალისტური შეჯიბრების გაშლის შესახებ.
3. სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1972 წლის 31 ივლისის № 570 დადგენილებასთან დაკავშირებით საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მთავრობის დადგენილებათა ძალადაკარგულად ჩათვლის შესახებ.
4. საინფორმაციო ბიულეტენის — „საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოში“ გამოცემის შესახებ.
5. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული მეცნიერებისა და ტექნიკის დარგის საქართველოს სსრ სახელმწიფო პრემიების კომიტეტის დებულებაში დამატების შეტანის შესახებ.

კ. მარქსის სახ. საქ. სსრ
სახელმწიფო რესპუბლიკ.
ბიბლიოთეკა

№ 1
ეროვნული
ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებები.

6. სახელმწიფო ავტომობილების შენახვისა და ექსპლუატაციის წესების დაცვისადმი კონტროლის გაძლიერების ღონისძიებათა შესახებ.
7. მშრომელთა დეპუტატების რაიონული, საქალაქო საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის საფინანსო განყოფილების დებულებაში დამატების შეტანის შესახებ.
8. საქართველოს მუსიკალური და ქორეოგრაფიული საზოგადოების წესდების დამტკიცების შესახებ.
9. პროფესორ მ. ა. პოლიევქტოვის ხსოვნის უკვდავყოფის შესახებ.
10. მომსვლელთა მიღების ორგანიზაციისა და მშრომელთა წერილებზე მუშაობის გაუმჯობესების შესახებ.
11. საქართველოს სსრ ვაჭრობის სამინისტროს „საქორცკარაქთევზვაჭრობის" სისტემაში ხორცითა და ხორცპროდუქტებით მომარაგების თავმოყრის შესახებ
12. ქალაქ თბილისის ახალი საზღვრების დამტკიცების შესახებ.
13. „ქ. ახალციხეში „რაბათის" ყოფილი ციხე-სიმაგრის ტერიტორიის კეთილმოწყობის შესახებ" საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1969 წლის 3 ივლისის № 393 დადგენილების გაუქმების შესახებ.
14. იმ თანამდებობათა ნომენკლატურის გაფართოების შესახებ, რომლებიც უმაღლესი იურიდიული განათლების მქონე სპეციალისტებს უნდა ეკავოთ.
15. მწერალ პოლიკარპე კაკაბაძის ხსოვნის უკვდავყოფის შესახებ.
16. მწერალ იაკინთე ლისაშვილის ხსოვნის უკვდავყოფის შესახებ.
17. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1965 წლის 3 დეკემბრის № 710 დადგენილების დამატების შესახებ.
18. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1972 წლის 9 ივნისის № 323 დადგენილების მე-5 პუნქტის ძალადაკარგულად ჩათვლის შესახებ.
19. საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსის ვ. ი. მამასახლისოვის ხსოვნის უკვდავყოფის შესახებ.

მუნ. 1
ეროვნული
ბიბლიოთეკა

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს, საქართველოს სსრ პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს და საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის დადგენილებები

1973 წელს მარცვლეულის, ხარისხოვანი ჩაის ფოთლის, ყურძნის ხილისა და მიწათმოქმედების სხვა პროდუქტების წარმოებისა და დამზადების გადიდებისათვის სოფლის მეურნეობის მუშაკთა სოციალისტური შეჯიბრების გაშლის შესახებ

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტი, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო, საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭო და საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტი აღნიშნავენ, რომ სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს, საბჭოთა კავშირის პროფესიულ კავშირთა ცენტრალური საბჭოსა და სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის 1972 წლის 30 ნოემბრის № 841 დადგენილება „1973 წელს მარცვლეულისა და მიწათმოქმედების სხვა პროდუქტების წარმოებისა და დამზადების გადიდებისათვის სოფლის მეურნეობის მუშაკთა სრულიად საკავშირო სოციალისტური შეჯიბრების გაშლის შესახებ“ დიდმნიშვნელოვანი დოკუმენტია, რომელიც ნათლად მოწმობს პარტიისა და მთავრობის დაუცხრომელ ზრუნვას სოფლის მეურნეობის წარმატებით განვითარებისათვის, საბჭოთა ხალხის კეთილდღეობის მნიშვნელოვანი გაუმჯობესებისათვის, კიდევ უფრო აძლიერებს მიწათმოქმედთა შემოქმედებითს აქტივობას, და რესპუბლიკის პარტიული, საბჭოთა, პროფკავშირული, კომკავშირული ორგანოების უმნიშვნელოვანეს მოვალეობად მიაჩნიათ აქტიურად ჩააბან სოფლის ყველა მშრომელი სრულიად საკავშირო სოციალისტურ შეჯიბრებაში.

აღნიშნულ დადგენილებას მხურვალედ დაუჭირეს მხარი წითელწყაროს, მახარაძის, გურჯაანის, გორის, ბოგდანოვკის, ქარელის, გუდაუთის, ახალქალაქისა და სხვა რაიონების კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობების, ბრიგადების, განყოფილებების მოწინავე კოლექტივებმა, რომლებიც ჩაებნენ სრულიად საკავშირო სოციალისტურ შეჯიბრებაში 1973 წელს მიწათმოქმედების პროდუქტების წარმოებისა და დამზადების გადიდებისათვის და იკისრეს ახალი მაღალი ვალდებულებანი.

უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებენ რა სოციალისტური შეჯიბრების გაშლას მარცვლეულისა და მიწათმოქმედების სხვა პროდუქტების წარმოების გადიდებისათვის ბრძოლაში, და სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს, საბჭოთა კავშირის პროფესიულ კავშირთა ცენტრალური საბჭოსა და სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის 1972 წლის 30 ნოემბრის № 841 დადგენილების შესასრულებლად საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტი, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო, საქართველოს პროფ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

კავშირთა რესპუბლიკური საბჭო და საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტი ადგენენ:

1. მოწონებულ იქნეს წითელწყაროს, მახარაძის, გურჯაანის, გორის, ბოგდანოვკის, ქარელის, გუდაუთის, ახალქალაქისა და სხვა რაიონების კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობების, ბრიგადებისა და განყოფილებების მოწინავე კოლექტივების ინიციატივა 1973 წელს მარცვლეულისა და მიწათმოქმედების სხვა პროდუქტების წარმოებისა და დამზადების გადიდებისათვის გაშლილ სრულიად საკავშირო სოციალისტურ შეჯიბრებაში ჩაბმის შესახებ.

2. დაევალოთ საქართველოს კპ საოლქო, საქალაქო, რაიონულ კომიტეტებს, აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებს, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, რესპუბლიკის რაიონებისა და ქალაქების მშრომელთა დეპუტატების საბჭოების აღმასკომებს, საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს, საქართველოს სსრ საბჭოთა მეურნეობების სამინისტროს, საქართველოს სსრ კვების მრეწველობის სამინისტროს, საქართველოს სსრ სატყეო მეურნეობის სახელმწიფო კომიტეტს, ადგილობრივ პარტიულ, საბჭოთა, პროფკავშირულ და კომკავშირულ ორგანიზაციებს განახორციელონ საჭირო პოლიტიკური და ორგანიზატორული მუშაობა თითოეულ კოლმეურნეობაში, საბჭოთა მეურნეობაში, ბრიგადაში, რგოლში, სოფლის ყველა მშრომელთა შორის სოციალისტური შეჯიბრების გაშლისათვის, რათა 1973 წელს მოიწიონ მარცვლეულის, ხარისხოვანი ჩაის ფოთლის, ყურძნის, თესლოვანი და კურკოვანი ხილის, ციტრუსების, ბოსტნეულის, კარტოფილის, თამბაქოს, ეთერზეთოვანი კულტურების, შაქრის ჭარხლის, მზესუმზირას, სოიისა და მიწათმოქმედების სხვა პროდუქტების უხვი მოსავალი, გაადიდონ მათი მთლიანი მოსავლიანობა, მოაწყონ სოციალისტური შეჯიბრება არა მარტო კოლექტივებში, არამედ რგოლებს, ბრიგადებს, მეურნეობებს, რაიონებს შორისაც, რეგულარულად ჩაატარონ ურთიერთშემოწმებანი, შეაჯამონ მიღწეული შედეგები, უზრუნველყონ შედეგების საჯაროობა და შესადარობა.

სოციალისტური შეჯიბრების მთავარ ამოცანად ჩაითვალოს ბრძოლა, რათა თითოეულმა კოლმეურნეობამ, საბჭოთა მეურნეობამ, რაიონმა გადაჭარბებით შეასრულოს სახალხო-სამეურნეო გეგმები და სოციალისტური ვალდებულებანი სოფლის მეურნეობის ყველა პროდუქტის წარმოებისა და სახელმწიფოსათვის მიყიდვის, საუკეთესო ეკონომიური მაჩვენებლების მიღწევის უზრუნველსაყოფად.

3. დაწესდეს, რომ სოციალისტური შეჯიბრების გამარჯვებულებად ჩაითვლებიან ავტონომიური რესპუბლიკები, ავტონომიური ოლქი, რაიონები, კოლმეურნეობები, საბჭოთა მეურნეობები, განყოფილებები, ბრიგადები და რგოლები, რომლებმაც საუკეთესო მაჩვენებლები მოიპოვეს მარცვლეულის, ხარისხოვანი ჩაის ფოთლის, ყურძნის, ოესლოვანი და კურკოვანი ხილის, ციტრუსების, თამბაქოს, ეთერზეთოვანი კულტურების, შაქრის ჭარხლის, მზესუმზირას, სოიისა და მიწათმოქმედების სხვა პროდუქტების მოსავლიანობის, წარმოების ზრდისა და სახელმწიფოსათვის მიყიდვის, აგრეთვე საკვებით მეცხოველეობის უზრუნველყოფის, სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ების თვითღირებულების შემცირების სახალხო-სამეურნეო გეგმებისა და სოციალისტური ვალდებულებების შესრულებაში.

4. მიწათმოქმედებაში საუკეთესო შედეგების მისაღწევად გაშლილი სოციალისტური შეჯიბრების გამარჯვებულთა დასაჯილდოებლად დაწესდეს საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს, საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოსა და საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის 36 წითელი დროშა, აქედან:

— ავტონომიური რესპუბლიკებისა და ავტონომიური ოლქის დასაჯილდოებლად — 1 წითელი დროშა და 10-დან 15-მდე ათასი მანეთი პრემია;

— რაიონების დასაჯილდოებლად — 10 წითელი დროშა და 5-დან 10-მდე ათასი მანეთი პრემია;

— კოლმეურნეობების დასაჯილდოებლად — 15 წითელი დროშა, საბჭოთა მეურნეობებისა და სხვა სახელმწიფო მეურნეობების დასაჯილდოებლად — 10 წითელი დროშა და პრემიები ავტობუსების, სანიტარიული და სხვა ავტომანქანების სახით.

დაწესდეს 100 პრემია კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობებისა და სხვა სახელმწიფო მეურნეობების ბრიგადებისა და განყოფილებების დასაჯილდოებლად, აქედან:

საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს, საქართველოს სსრ საბჭოთა მეურნეობების სამინისტროსა და სოფლის მეურნეობისა და დამზადების მუშა-მოსამსახურეთა პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტის 90 პრემია, მათ შორის საბჭოთა მეურნეობებისათვის — 36; საქართველოს სსრ კვების მრეწველობის სამინისტროსა და კვების მრეწველობის მუშათა პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტის 5 პრემია; საქართველოს სსრ სატყეო მეურნეობის სახელმწიფო კომიტეტისა და ხე-ტყის, ცელულოზა-ქაღალდისა და ხის დამმუშავებელი მრეწველობის მუშათა პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტის 5 პრემია.

აღნიშნულმა სამინისტროებმა, უწყებებმა და პროფკავშირთა რესპუბლიკურმა კომიტეტებმა მიაკუთვნონ ეს პრემიები კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობებისა და სხვა სახელმწიფო მეურნეობების ბრიგადებსა და განყოფილებებს, რომლებმაც საუკეთესო მაჩვენებლები მოიპოვეს სრულიად საკავშირო სოციალისტურ შეჯიბრებაში, და დააჯილდოვონ ისინი საპატიო სიგელებით, ამასთანავე გადასცენ მოტოციკლები, ტრანზისტორული მიმღებები, მაგნიტოფონები, კინოაპარატები, ფოტოაპარატები და სხვა მატერიალური ფასეულობანი.

დაწესდეს 250 პრემია სრულიად საკავშირო სოციალისტურ შეჯიბრებაში რესპუბლიკის მასშტაბით გამარჯვებულ მიწათმოქმედების მოწინავეთა დასაჯილდოებლად, აქედან: საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს, საქართველოს სსრ საბჭოთა მეურნეობების სამინისტროსა და სოფლის მეურნეობისა და დამზადების მუშა-მოსამსახურეთა პროფკავშირის რესპუბ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლიკური კომიტეტის 220 პრემია, მათ შორის საბჭოთა მეურნეობებისათვის — 80; საქართველოს სსრ კვების მრეწველობის სამინისტროსა და კვების მრეწველობის მუშათა პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტის 15 პრემია; საქართველოს სსრ სატყეო მეურნეობის სახელმწიფო კომიტეტისა და ხე-ტყის, ცელულოზა-ქაღალდისა და ხის დამმუშავებელი მრეწველობის მუშათა პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტის 15 პრემია;

აღნიშნულმა სამინისტროებმა, უწყებამ და პროფკავშირთა რესპუბლიკურმა კომიტეტებმა მიაკუთვნონ ეს პრემიები საუკეთესო კოლმეურნეებს, მუშებს, მერგოლურებს, ბრიგადირებს, მექანიზატორებს, კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობებისა და სხვა სახელმწიფო მეურნეობების წარმოების სპეციალისტებს, რომლებმაც საუკეთესო მაჩვენებლები მოიპოვეს სრულიად საკავშირო სოციალისტურ შეჯიბრებაში რესპუბლიკის მასშტაბით, და დააჯილდოვონ ისინი საპატიო სიგელებით, ამასთანავე გადასცენ სანატორიუმებისა და დასასვენებელი სახლების საგზურები, ტურისტული საგზურები, კინოაპარატები, ფოტოაპარატები, ტრანზისტორული მიმღებები, საათები, ელექტროსამართებლები და სხვა მატერიალური ფასეულობანი.

სრულიად საკავშირო სოციალისტური შეჯიბრების გამარჯვებულ მიწათმოქმედების მოწინავეებს რიგგარეშე მიეყიდოთ მსუბუქი ავტომანქანები „მოსკვიჩი“, „ჟიგული“, „ზაპოროჟეცი“, რისთვისაც გამოიყოს ცეკავშირის საბაზრო ფონდიდან 1000 მსუბუქი ავტომობილი, მათ შორის საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს — 550, საქართველოს სსრ საბჭოთა მეურნეობების სამინისტროს — 300, საქართველოს სსრ კვების მრეწველობის სამინისტროს — 50 და საქართველოს სსრ სატყეო მეურნეობის სახელმწიფო კომიტეტს — 50 ავტომობილი.

5. მიღებულ იქნეს წინადადება იმის შესახებ, რომ დაწესდეს საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს, საქართველოს სსრ საბჭოთა მეურნეობების სამინისტროსა და სოფლის მეურნეობისა და დამზადების მუშა-მოსამსახურეთა პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტის, საქართველოს სსრ კვების მრეწველობის სამინისტროსა და კვების მრეწველობის მუშათა პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტის, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სატყეო მეურნეობის სახელმწიფო კომიტეტისა და ხე-ტყის, ცელულოზა-ქაღალდისა და ხის დამმუშავებელი მრეწველობის მუშათა პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტის საპატიო სიგელები სრულიად საკავშირო სოციალისტურ შეჯიბრებაში გამარჯვებული კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობებისა და სხვა მეურნეობების ბრიგადების, განყოფილებებისა და მოწინავეების დასაჯილდოებლად.

6. საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტრომ, საქართველოს სსრ საბჭოთა მეურნეობების სამინისტრომ და სოფლის მეურნეობისა და დამზადების მუშა-მოსამსახურეთა პროფკავშირის რესპუბლიკურმა კომიტეტმა, საქართველოს სსრ კვების მრეწველობის სამინისტრომ და კვების მრეწველობის მუშათა პროფკავშირის რესპუბლიკურმა კომიტეტმა, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სატყეო მეურნეობის სახელმწიფო კომიტეტმა და ხე-ტყის, ცელულოზა-ქადალდისა და ხის დამმუშავებელი მრეწველობის მუშათა პროფკავ-

მუნ. 1
ეროვნული
ბიბლიოთეკა

შირის რესპუბლიკურმა კომიტეტმა:

— განსაზღვრონ სოციალისტურ შეჯიბრებაში გამარჯვებული კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობებისა და სხვა სახელმწიფო მეურნეობების, ამ მეურნეობათა მოწინავეების, რგოლების, ბრიგადებისა და განყოფილებების წითელი დროშებით დაჯილდოებისა და პრემირების პირობები;

— შეაჯამონ სრულიად საკავშირო სოციალისტური შეჯიბრების შედეგები სასოფლო-სამეურნეო წლის დამლევს, მოსავლის აღებისა და დამზადების დამთავრების შემდეგ.

7. საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტრომ, საქართველოს სსრ საბჭოთა მეურნეობების სამინისტრომ, საქართველოს სსრ კვების მრეწველობის სამინისტრომ, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სატყეო მეურნეობის სახელმწიფო კომიტეტმა და საქართველოს სსრ ფინანსთა სამინისტრომ წარმოუდგინონ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს წინადადებანი აღნიშნულ წამახალისებელ ღონისძიებებთან დაკავშირებული ხარჯების დაფარვის წყაროების შესახებ.

8. დაევალოთ საბჭოთა მეურნეობებისა და სხვა სახელმწიფო მეურნეობების დირექტორებს და რჩევა მიეცეთ კოლმეურნეობათა გამგეობებს მატერიალურად წაახალისონ მიწათმოქმედების მოწინავენი, რომლებიც საუკეთესო მაჩვენებლებს მოიპოვებენ სოციალისტურ შეჯიბრებაში.

9. იმ კომკავშირულ-ახალგაზრდული კოლექტივების დასაჯილდოებლად, რომლებიც საუკეთესო მაჩვენებლებს მოიპოვებენ სრულიად საკავშირო სოციალისტურ შეჯიბრებაში, დაწესდეს საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის 150 ვიმპელი.

ვიმპელებით დაჯილდოება მოხდეს საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის გადაწყვეტილებით.

10. დაევალოთ საქართველოს კპ საოლქო, საქალაქო, რაიონულ კომიტეტებს, აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებს, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, რესპუბლიკის ქალაქებისა და რაიონების მშრომელთა დეპუტატების საბჭოების აღმასრულებელ კომიტეტებს:

განსაზღვრონ მორალური წახალისებისა და ადგილობრივი ბიუჯეტების სახსრებიდან მატერიალური წახალისების კონკრეტული ღონისძიებანი ბრიგადების, განყოფილებების, რგოლების კოლექტივებისა და მიწათმოქმედების ცალკეული მოწინავეებისათვის, რომლებიც საუკეთესო მაჩვენებლებს მოიპოვებენ სრულიად საკავშირო სოციალისტურ შეჯიბრებაში;

წარმოადგინონ ორდენებითა და მედლებით დასაჯილდოებლად მიწათმოქმედების მუშაკები, რომლებმაც საუკეთესო შედეგები მოიპოვეს სრულიად საკავშირო სოციალისტურ შეჯიბრებაში და სახელი გაითქვეს შრომითი მამაცობით 1973 წელს უხვი მოსავლის მოყვანის, სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოებისა და სახელმწიფოსათვის მიყიდვის გეგმებისა და მათი გადიდებისათვის ნაკისრი სოციალისტური ვალდებულებების შესრულების საქმეში, აგრეთვე სატრანსპორტო და დამამზადებელ ორგანიზაციათა მუშაკები, რომლებიც

ეროვნული ბიბლიოთეკა

უზრუნველყოფენ სოფლის მეურნეობის პროდუქტების დროულ მიღებას, გადამუშავებასა და გადამუშავებას.

11. დაევალოთ საქართველოს კპ საოლქო, საქალაქო, რაიონულ კომიტეტებს, პირველადს პარტიულ ორგანიზაციებს, რესპუბლიკური და ადგილობრივი გაზეთებისა და ჟურნალების რედაქციებს, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ტელევიზიისა და რადიომაუწყებლობის სახელმწიფო კომიტეტს ფართოდ გააშუქონ მინდვრის მშრომელთა სრულიად საკავშირო სოციალისტური შეჯიბრების მიმდინარეობა, გაავრცელონ და პროპაგანდა გაუწიონ მოწინავე გამოცდილებას.

12. საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტრომ, საქართველოს სსრ საბჭოთა მეურნეობების სამინისტრომ, საქართველოს სსრ კვების მრეწველობის სამინისტრომ, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სატყეო მეურნეობის სახელმწიფო კომიტეტმა და პროფკავშირთა შესაბამისმა რესპუბლიკურმა კომიტეტებმა პერიოდულად გააანალიზონ მიწათმოქმედების მუშაკთა სოციალისტური შეჯიბრების მიმდინარეობა და შედეგები მოახსენონ საქართველოს კპ ცენტრალურ კომიტეტსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს.

13. მოსმენილ იქნეს 1973 წლის I კვარტალის დამლევს საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის ბიუროს სხდომაზე საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს, საქართველოს სსრ საბჭოთა მეურნეობების სამინისტროს, საქართველოს სსრ კვების მრეწველობის სამინისტროს, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სატყეო მეურნეობის სახელმწიფო კომიტეტისა და პროფკავშირთა შესაბამისი რესპუბლიკური კომიტეტების ინფორმაცია სრულიად საკავშირო სოციალისტური შეჯიბრების მიმდინარეობის შესახებ.

14. საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის ორგანიზაციულ-პარტიული მუშაობის, სოფლის მეურნეობის, მსუბუქი და კვების მრეწველობის განყოფილებებმა სისტემატურად შეამოწმონ სოციალისტური შეჯიბრების მიმდინარეობა და ოპერატიულად მიიღონ ზომები გამოვლინებულ ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად, პერიოდულად მოახსენონ ამის შესახებ საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის ბიუროს.

15. სასოფლო-სამეურნეო წლის დამლევს, მოსავლის აღებისა და დამზადების დამთავრების შემდეგ საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის სოფლის მეურნეობის განყოფილებამ შესაბამის სამინისტროებთან, უწყებებთან და პროფკავშირთა რესპუბლიკურ კომიტეტებთან ერთად შეაჯამოს სრულიად საკავშირო სოციალისტური შეჯიბრების შედეგები და წარმოადგინოს საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს, საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოსა და საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის განსახილველად.

16. ამ დადგენილების მიღებასთან დაკავშირებით არ მიეკუთვნოთ რაიონებს 1973 წლის შედეგების მიხედვით საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსა და საქართველოს პროფსაბჭოს გარდამავალი წითელი დროშები, რომლებიც დაწესებულია რაიონების დასაჯილდოებლად საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ

ეროვნული ბიბლიოთეკა

მინისტრთა საბჭოსა და საქართველოს პროფსაბჭოს 1962 წლის 8 მაისის № 313, 1967 წლის 30 მაისის № 353, 1970 წლის 24 თებერვლის № 98 დადგენილებებით და საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს, საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს 1962 წლის 18 სექტემბრის № 670 დადგენილებით.

*

* *

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტი, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო, საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭო და საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტი გამოთქვამენ მტკიცე რწმენას, რომ კოლმეურნეები, საბჭოთა მეურნეობების მუშები, მექანიზატორები, სპეციალისტები, სოფლის ახალგაზრდობა — რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის ყველა მშრომელი აქტიურად ჩაებმება სოციალისტურ შეჯიბრებაში და მოიპოვებს 1973 წელს ახალ შრომითს წარმატებებს, მთლიანად და გადაჭარბებით შეასრულებს სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოებისა და სახელმწიფოსათვის მიყიდვის სოციალისტურ ვალდებულებებს.

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი **ე. შევარდნაძე.**	საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე **გ. ჯავახიშვილი.**
საქართველოს პროფსაბჭოს თავმჯდომარე **თ. მოსაშვილი.**	საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის მდივანი **ჯ. პატიაშვილი.**

ქ. თბილისი, 1973 წ. 9 იანვარი, № 28.

ეროვნული ბიბლიოთეკა

2 1973 წლის სახალხო-სამეურნეო გეგმის ვადამდე შესრულებისათვის საქართველოს მრეწველობის, მშენებლობისა და ტრანსპორტის მუშაკთა სოციალისტური შეჯიბრების გაშლის შესახებ

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო, საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭო და საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტი აღნიშნავენ, რომ საქართველოს მშრომელები კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით თანმიმდევრულად ახორციელებენ სკკპ XXIV ყრილობის გადაწყვეტილებებს. გასული 1972 წელი — სსრ კავშირის შექმნის 50 წლისთავის წელი — რესპუბლიკაში აღინიშნა საყოველთაო პოლიტიკური და შრომითი აღმავლობით. მეცხრე ხუთწლედის დავალებათა ვადამდე შესრულებისათვის ბრძოლაში საქართველოს მრეწველობის, მშენებლობისა და ტრანსპორტის მშრომელებმა გარკვეული წარმატებანი მოიპოვეს.

ხუთწლედის მესამე წელს სახალხო-სამეურნეო გეგმის შესაბამისად მრეწველობის, მშენებლობისა და ტრანსპორტის ყველა დარგის წინაშე, შრომითი კოლექტივების, თითოეული მშრომელის წინაშე ისახება სამრეწველო წარმოების ეფექტიანობის შემდგომი ამაღლების ახალი პასუხსაგები ამოცანები. 1973 წელი ხუთწლედის გადამწყვეტი წელია, და მის შედეგებზე ბევრად იქნება დამოკიდებული მეცხრე ხუთწლიანი გეგმის წარმატებით შესრულება.

მშრომელთა შემოქმედებითი ინიციატივის განვითარების, წარმოების რეზერვების გამოვლინებისა და გამოყენების, სახალხო-სამეურნეო გეგმების მთლიანად და გადაჭარბებით შესრულების ქმედითი საშუალება მუდამ იყო და არის სოციალისტური შეჯიბრება, მოძრაობა შრომისადმი კომუნისტური დამოკიდებულებისათვის. ხალხის მასების თავდადებული შემოქმედებითი შრომა ხუთწლედის დავალებათა წარმატებით შესრულების საიმედო საწინდარია.

საქართველოს მშრომელები უდიდესი ინტერესითა და აღფრთოვანებით შეხვდნენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს, საკავშირო პროფსაბჭოსა და სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის 1973 წლის 5 იანვრის № 15 დადგენილებას „1973 წლის სახალხო-სამეურნეო გეგმის ვადამდე შესრულებისათვის მრეწველობის, მშენებლობისა და ტრანსპორტის მუშაკთა სრულიად საკავშირო სოციალისტური შეჯიბრების გაშლის შესახებ“.

ამ დადგენილების პასუხად სოციალისტური შეჯიბრება რესპუბლიკაში დღითიდღე სულ უფრო ფართოვდება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს საწარმოთა და მშენებლობათა კოლექტივებმა, ტრანსპორტისა და სახალხო მეურნეობის სხვა დარგების მუშაკებმა, რომლებიც მთელ თავიანთ ყურადღებას უთმობენ ნაკლოვანებებსა და გადაუჭრელ ამოცანებს, იკისრეს ახალი სოციალისტური ვალდებულებანი.

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტი, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო, საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭო და საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტი ადგენენ:

1. მოწონებულ იქნეს რესპუბლიკის სამრეწველო საწარმოების, სამშენებლო და სატრანსპორტო ორგანიზაციების, კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების, მომსახურების სფეროს, მეცნიერებისა და კულტურის ორგანიზაციების შრომითს კოლექტივებში შემუშავებული და განხილული სოციალისტური ვალდებულებანი 1973 წლის გეგმის ვადამდე შესრულებისათვის.

2. საქართველოს კპ საოლქო, საქალაქო და რაიონულმა კომიტეტებმა, სამინისტროებმა, უწყებებმა, საწარმოთა ხელმძღვანელებმა, ავტონომიური რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებმა, მშრომელთა დეპუტატების საოლქო, საქალაქო და რაიონული საბჭოების აღმასკომებმა, პარტიულმა, პროფკავშირულმა და კომკავშირულმა ორგანიზაციებმა:

— მიიღონ განუხრელი შესრულებისათვის სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს, საკავშირო პროფსაბჭოსა და სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის 1973 წლის 5 იანვრის № 15 დადგენილება „1973 წლის სახალხო-სამეურნეო გეგმის ვადამდე შესრულებისათვის მრეწველობის, მშენებლობისა და ტრანსპორტის მუშაკთა სრულიად საკავშირო სოციალისტური შეჯიბრების გაშლის შესახებ“ და მიიჩნიონ იგი მოქმედების სახელმძღვანელოდ;

— გაშალონ ორგანიზატორული და მასობრივ-პოლიტიკური მუშაობა 1973 წლის სახალხო-სამეურნეო გეგმის ვადამდე მთლიანად და გადაჭარბებით შესრულებისათვის მშრომელთა სოციალისტური შეჯიბრების ფართოდ გახსავითარებლად, ამასთან განსაკუთრებული ყურადღება დაუთმონ სოციალისტური შეჯიბრების შემდგომ სრულყოფას როგორც კოლექტივებში, ისე მონათესავე და მომიჯნავე საწარმოებსა და ორგანიზაციებს შორის, რესპუბლიკის ქალაქებსა და რაიონებს შორის;

— შეჯიბრების მონაწილეთა ღონისძიებანი მოახმარონ შრომის ნაყოფიერების განუხრელ ამაღლებას, წარმოებისა და შრომის ორგანიზაციის სრულყოფას, მოქმედი მოწყობილობის რაც შეიძლება სრულად გამოყენებას, ნედლეულისა და მასალების ყოველმხრივ ეკონომიას, მეცნიერებისა და ტექნიკის მიღწევათა დანერგვას, პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესებას, საწარმოო სიმძლავრეთა უსწრაფესად ამოქმედებასა და ათვისებას, პროდუქციის თვითღირებულების შემცირებას, აგრეთვე სახალხო მოხმარების საქონლის წარმოების გადიდებას, ასორტიმენტის გაფართოებასა და ხარისხის გაუმჯობესებას ყველა დარგის საწარმოთა მიერ;

ეროვნული ბიბლიოთეკა

— უზრუნველყონ საჭირო პირობების შექმნა, რათა მუშებმა და ბრიგადების, უბნებისა და საამქროების კოლექტივებმა შეასრულონ ნაკისრი სოციალისტური ვალდებულებანი;

— სოციალისტური შეჯიბრების ორგანიზაციაში განსაკუთრებული ყურადღება დაუთმონ მოწინავე გამოცდილების ფართოდ დანერგვას, ვალდებულებათა შესრულების რეგულარულ შემოწმებასა და შედეგების შეჯამებას, შეჯიბრების ფართო საჯაროობისა და მისი შედეგების შესადარობის უზრუნველყოფას.

3. 1973 წლის სახალხო-სამეურნეო გეგმის ვადამდე მთლიანად და გადაჭარბებით შესრულებისათვის მრეწველობის, მშენებლობის, ტრანსპორტისა და სახალხო მეურნეობის სხვა დარგების მუშაკთა რესპუბლიკურ სოციალისტურ შეჯიბრებაში გამარჯვებული საწარმოების, მშენებლობებისა და ორგანიზაციების კოლექტივების დასაჯილდოებლად დაწესდეს საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს, საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოსა და საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის 48 წითელი დროშა დიპლომებითა და ფულადი პრემიებით 38 ათასამდე მანეთის ოდენობით.

დაზოგილი ნედლეულისა და მასალების ხარჯზე ზეგეგმითი პროდუქციის გამოშვების დროს პრემიები იზრდება 25 პროცენტამდე.

(თან ერთვის განაწილება საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს, საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოსა და საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის წითელი დროშებისა დიპლომებითა და ფულადი პრემიებით საქართველოს სსრ სამინისტროთა და უწყებათა შორის).

4. ყველა საწარმოსა და მშენებლობის მიერ 1973 წლის სახალხო-სამეურნეო გეგმის წარმატებით შესრულებისათვის სოციალისტურ შეჯიბრებაში გამარჯვებული საწარმოო სამინისტროების (უწყებების), ქალაქებისა და რაიონების დასაჯილდოებლად დაწესდეს საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს, საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოსა და საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის 20 წითელი დროშა, აქედან 8 — სამინისტროებისათვის (უწყებებისათვის) და 12 ქალაქებისა და რაიონებისათვის.

5. შენარჩუნებულ იქნეს სამინისტროების (უწყებების) საწარმოთა, მშენებლობათა და ორგანიზაციათა შორის სოციალისტური შეჯიბრების შედეგების ყოველკვარტალური შეჯამების მოქმედი წესი და ამ შეჯიბრებაში გამარჯვებულებს მიეკუთვნოთ სამინისტროების (უწყებების) და პროფკავშირთა რესპუბლიკური კომიტეტების 69 გარდამავალი წითელი დროშა ფულადი პრემიებით 31 ათასამდე მანეთის ოდენობით.

საანგარიშო კვარტალში შედეგების შეჯამებისას გათვალისწინებულ იქნეს წლის დამდეგიდან წინა პერიოდში გაწეული მუშაობის შედეგები.

ეროვნული ბიბლიოთეკა

(თან ერთვის განაწილება საქართველოს სსრ სამინისტროების (უწყებების) და პროფკავშირთა რესპუბლიკური კომიტეტების გარდამავალი წითელი დროშებისა ფულადი პრემიებით).

6. მიღებულ იქნეს საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის წინადადება, რომ დაწესდეს 200 ვიმპელი იმ კომკავშირულ-ახალგაზრდული კოლექტივების დასაჯილდოებლად, რომლებმაც ყველაზე მაღალი მაჩვენებლები მოიპოვეს სოციალისტურ შეჯიბრებაში.

7. საქართველოს კპ საოლქო, საქალაქო და რაიონულმა კომიტეტებმა, მშრომელთა დეპუტატების საბჭოების აღმასკომებმა, სამინისტროებმა და უწყებებმა პროფკავშირულ და კომკავშირულ ორგანოებთან ერთად წარმოუდგინონ საქართველოს კპ ცენტრალურ კომიტეტს წინადადებანი სსრ კავშირის ორდენებითა და მედლებით წარმოების იმ მოწინავეთა დაჯილდოების შესახებ, რომლებმაც 1973 წელს მოიპოვეს ყველაზე მაღალი შედეგები და გვიჩვენეს შრომითი მამაცობის ნიმუშები გეგმის მთლიანად და გადაჭარბებით შესრულებისათვის ბრძოლაში.

8. პერიოდულად იქნეს მოსმენილი საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის სამდივნოს სხდომებზე ცალკეული სამინისტროების, უწყებებისა და საწარმოების ხელმძღვანელთა, საოლქო, საქალაქო და რაიონული კომიტეტების ინფორმაციები ამ საკითხზე.

მიზანშეწონილად ჩაითვალოს, რომ საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის ბიუროს სხდომაზე განხილულ იქნეს საკითხი 1973 წლის პირველ ნახევარში მრეწველობის, მშენებლობისა და ტრანსპორტის საწარმოებში სოციალისტური შეჯიბრების მიმდინარეობის შესახებ.

9. დაევალოთ საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის პროპაგანდის განყოფილებას, რესპუბლიკური და ადგილობრივი გაზეთების რედაქტორებს, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულ სახელმწიფო საინფორმაციო სააგენტოს, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ტელევიზიისა და რადიომაუწყებლობის სახელმწიფო კომიტეტს შეიმუშაონ და განახორციელონ სპეციალური ღონისძიებანი პრესაში, რადიოთი და ტელევიზიით სოციალისტური შეჯიბრების მიმდინარეობის ფართოდ და ყოველდღიურად გაშუქებისათვის, მოწინავეთა გამოცდილების განზოგადებისა და ჩვენებისათვის, წარმოებისა და შრომის ორგანიზაციაში არსებულ ნაკლოვანებათა კრიტიკისათვის.

10. მოეწყოს 1974 წლის იანვარში ქ. თბილისში 1973 წლის სახალხო-სამეურნეო გეგმის ვადამდე შესრულებისათვის მრეწველობის, მშენებლობის, ტრანსპორტის, სოფლის მეურნეობისა და სხვა დარგების მუშაკთა სოციალისტურ შეჯიბრებაში გამარჯვებულ წარმოების იმ მოწინავეთა შეკრება, რომლებმაც ყველაზე მაღალი მაჩვენებლები მოიპოვეს შრომაში და მნიშვნელო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვანი წვლილი შეიტანეს მოწინავე გამოცდილების დანერგვასა და პროპაგან-დაში.

*

* *

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტი, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო, საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭო და საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტი გამოთქვამენ რწმენას, რომ მრეწველობის, მშენებლობისა და ტრანსპორტის, სახალხო მეურნეობის ყველა დარგის მშრომელები, რომლებიც აქტიურად ჩაებნენ სოციალისტურ შეჯიბრებაში, მეცხრე ხუთწლედის მესამე, გადამწყვეტ წელს გადააქცევენ დამკვრელური შრომის წლად, მოიპოვებენ წარმატებებს კომუნისტურ მშენებლობაში, ღირსეულ წვლილს შეიტანენ სკკპ XXIV ყრილობის გადაწყვეტილებათა განხორციელებაში, მეცხრე ხუთწლედის დავალებათა წარმატებით შესრულებისათვის ბრძოლაში.

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი **ე. შევარდნაძე.**	საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე **გ. ჯავახიშვილი.**
საქართველოს პროფსაბჭოს თავმჯდომარე **თ. მოსაშვილი.**	საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის მდივანი **ჯ. პატიაშვილი.**

ქ. თბილისი, 1973 წ. 23 იანვარი, № 49.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს, საქართველოს პროფსაბჭოსა და საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის 1973 წლის 23 იანვრის № 49 დადგენილების დანართი № 1

გ ა ნ ა წ ი ლ ე ბ ა

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს, საქართველოს პროფსაბჭოსა და საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის წითელი დროშებისა დიპლომებითა და ფულადი პრემიებით საქართველოს სსრ სამინისტროთა და უწყებათა შორის

სამინისტროთა და უწყებათა დასახელება	დროშების რაოდენობა
1. საქართველოს სსრ საავტომობილო ტრანსპორტის სამინისტრო	2
2. საქართველოს სსრ საავტომობილო გზების სამინისტრო	1
3. საქართველოს სსრ მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამინისტრო	2
4. საქართველოს სსრ კომუნალური მეურნეობის სამინისტრო	2
5. საქართველოს სსრ მსუბუქი მრეწველობის სამინისტრო	3
6. საქართველოს სსრ ხე-ტყისა და ხისდამმუშავებელი მრეწველობის სამინისტრო	2
7. საქართველოს სსრ ადგილობრივი მრეწველობის სამინისტრო	2
8. საქართველოს სსრ ხორცისა და რძის მრეწველობის სამინისტრო	2
9. საქართველოს სსრ კვების მრეწველობის სამინისტრო	3
10. საქართველოს სსრ საშენ მასალათა მრეწველობის სამინისტრო	2
11. საქართველოს სსრ სოციალური უზრუნველყოფის სამინისტრო	1
12. საქართველოს სსრ სასოფლო მშენებლობის სამინისტრო	2
13. საქართველოს სსრ მშენებლობის სამინისტრო	3
14. საქართველოს სსრ ვაჭრობის სამინისტრო	2
15. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს გაზიფიკაციის მთავარი სამმართველო	1
16. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სამონტაჟო და სპეციალურ სამშენებლო სამუშაოთა მთავარი სამმართველო	1
17. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ნავთობპროდუქტების მომარაგება-გასაღების მთავარი სამმართველო	1
18. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს კინემატოგრაფიის სახელმწიფო კომიტეტი	1
19. თბილისის მეტროპოლიტენის სამმართველო	1
20. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სახელმწიფო კომიტეტი „საქკონსერვხილბოსტანი“	2
21. საქართველოს სსრ კავშირგაბმულობის სამინისტრო	1
22. საქართველოს გეოლოგიის საწარმოო სამმართველო	1
23. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების მთავარი სამმართველო	1
24. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სატყეო მეურნეობის სახელმწიფო კომიტეტი	1
25. ცეკავშირი	2

ეროვნული ბიბლიოთეკა

სამინისტროთა და უწყებათა დასახელება	დროშების რაოდენობა
26. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს პროფესიულ-ტექნიკური განათლების სახელმწიფო კომიტეტი	1
27. საქართველოს სსრ მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის სამინისტრო	1
28. საქართველოს სსრ დამზადების სამინისტრო	1
29. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს რესპუბლიკური გაერთიანება „საქსოფლტექნიკა“	1
30. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს გამომცემლობათა, პოლიგრაფიისა და წიგნის ვაჭრობის საქმეთა სახელმწიფო კომიტეტი	1
31. საქართველოს სსრ საკოლმეურნეობათშორისო სამშენებლო ორგანიზაციათა რესპუბლიკური გაერთიანება	1
	48

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს, საქართველოს პროფსაბჭოსა და საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის 1973 წლის 23 იანვრის № 49 დადგენილების დანართი № 2

გ ა ნ ა წ ი ლ ე ბ ა

სამინისტროების, უწყებებისა და დარგობრივ პროფკავშირთა რესპუბლიკური კომიტეტების გარდამავალი წითელი დროშებისა ფულადი პრემიებით

სამინისტროთა და უწყებათა დასახელება	დროშების რაოდენობა
1. საქართველოს სსრ საავტომობილო ტრანსპორტის სამინისტრო	2
2. საქართველოს სსრ საავტომობილო გზების სამინისტრო	2
3. საქართველოს სსრ მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამინისტრო	3
4. საქართველოს სსრ კომუნალური მეურნეობის სამინისტრო	3
5. საქართველოს სსრ მსუბუქი მრეწველობის სამინისტრო	4
6. საქართველოს სსრ ხე-ტყისა და ხის დამმუშავებელი მრეწველობის სამინისტრო	2
7. საქართველოს სსრ ადგილობრივი მრეწველობის სამინისტრი	2
8. საქართველოს სსრ ხორცისა და რძის მრეწველობის სამინისტრო	3
9. საქართველოს სსრ კვების მრეწველობის სამინისტრო	9
10. საქართველოს სსრ სამშენ მასალათა მრეწველობის სამინისტრი	3
11. საქართველოს სსრ სასოფლო მშენებლობის სამინისტრო	2
12. საქართველოს სსრ სოციალური უზრუნველყოფის სამინისტრი	1
13. საქართველოს სსრ მშენებლობის სამინისტრო	4
14. საქართველოს სსრ ვაჭრობის სამინისტრო	3
15. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს გაზიფიკაციის მთავარი სამმართველო	2
16. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სამონტაჟო და სპეციალურ სამშენებლო სამუშაოთა მთავარი სამმართველო	1
17. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ნავთობპროდუქტების მომარაგება-გასაღების მთავარი სამმართველო	1
18. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს კინემატოგრაფიის სახელმწიფო კომიტეტი	2
19. თბილისის მეტროპოლიტენის სამმართველო	1
20. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სახელმწიფო კომიტეტი „საქკონსერვხილბოსტანი“	2
21. საქართველოს სსრ კავშირგაბმულობის სამინისტრო	2
22. საქართველოს სსრ გეოლოგიის საწარმოო სამმართველო	2
23. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების მთავარი სამმართველო	2
24. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სატყეო მეურნეობის სახელმწიფო კომიტეტი	1
25. ცეკავშირი	1

19.303

კ. მარქსის სახ. საქ. სსრ სახელმწიფო რესპუბლიკ. ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

სამინისტროთა და უწყებათა დასახელება	დროშების რაოდენობა
26. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს პროფესიულ-ტექნიკური განათლების სახელმწიფო კომიტეტი	2
27. საქართველოს სსრ მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის სამინისტრო	2
28. საქართველოს სსრ დამზადების სამინისტრო	1
29. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს რესპუბლიკური გაერთიანება „საქსოფლტექნიკა“	1
30. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს გამომცემლობათა, პოლიგრაფიისა და წიგნის ვაჭრობის საქმეთა სახელმწიფო კომიტეტი	2
31. საქართველოს სსრ საკოლმეურნეობათშორისო სამშენებლო ორგანიზაციათა რესპუბლიკური გაერთიანება	1
	69

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებები

3 სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1972 წლის 31 ივლისის № 570 დადგენილებასთან დაკავშირებით საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მთავრობის დადგენილებათა ძალადაკარგულად ჩათვლის შესახებ

„კოლმეურნეობათა ახალი სანიმუშო წესდების მიღებასთან დაკავშირებით სსრ კავშირის მთავრობის გადაწყვეტილებათა ძალადაკარგულად ჩათვლის შესახებ“ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1972 წლის 31 ივლისის № 570 დადგენილების შესაბამისად საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტი და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ე ნ:

1. ძალადაკარგულად ჩაითვალოს საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მთავრობის დადგენილებანი, თანდართული ნუსხის თანახმად.

2. მიღებულ იქნეს ცნობად, რომ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1972 წლის 31 ივლისის № 570 დადგენილებით ძალადაკარგულად ითვლება სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1952 წლის 16 თებერვლის № 871 დადგენილება „კოლმეურნეობათა ნატურალური და ფულადი შემოსავლის განაწილების, მათი საზოგადოებრივი მეურნეობის განმტკიცებისა და განვითარების საქმის ხელმძღვანელობაში ნაკლოვანებებისა და შეცდომების აღმოფხვრის ზომების შესახებ“, რომელიც დაგზავნილია საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსა და საქართველოს კპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1952 წლის 26 თებერვლის № 248 დადგენილებით.

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი ე. შევარდნაძე.	საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ვ. ჯავახიშვილი.

ქ. თბილისი, 1973 წ. 9 იანვარი, № 21

ეროვნული ბიბლიოთეკა

დამტკიცებულია
საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და
საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
1973 წლის 9 იანვრის № 21
დადგენილებით

ნ უ ს ხ ა

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებებისა, რომლებმაც ძალა დაკარგეს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1972 წლის 31 ივლისის № 570 დადგენილებასთან დაკავშირებით

1. მე-11 და მე-12 პუნქტები საქართველოს სსრ სახკომსაბჭოსა და საქართველოს კპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1939 წლის 19 თებერვლის № 244 დადგენილებისა „ძირითად სასოფლო-სამეურნეო სამუშაოთა 1939 წლის სახელმწიფო გეგმის შესახებ“ (საქ. სსრ კან. კრებ., 1939 წ., № 5, მუხ. 25).

2. მე-4 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტი საქართველოს სსრ სახკომსაბჭოსა და საქართველოს კპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1945 წლის 14 მარტის № 333 დადგენილებისა „საქართველოს სს რესპუბლიკაში მეფუტკრეობის განვითარების ღონისძიებათა შესახებ“.

3. მე-6 პუნქტი საქართველოს სსრ სახკომსაბჭოსა და საქართველოს კპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1946 წლის 4 მარტის № 237 დადგენილებისა „საქართველოს სსრ-ში ციტრუსოვანი კულტურების შემდგომი განვითარების ღონისძიებათა შესახებ“.

4. მე-9 პუნქტი საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსა და საქართველოს კპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1946 წლის 17 აპრილის № 80 დადგენილებისა „საქართველოს სსრ 1946 წლის ნავიგაციის დროს ხე-ტყის დაცურების ჩატარების ღონისძიებათა შესახებ“.

5. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსა და საქართველოს კპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1946 წლის 30 აპრილის № 135 დადგენილება „სოიის მოსავლიანობის გადიდების ღონისძიებებისა და მისი დამზადების 1946 წლის გეგმის შესახებ“.

6. მე-5 პუნქტი საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსა და საქართველოს კპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1946 წლის 20 მაისის № 221 დადგენილებისა „კოლმეურნეობებში მზესუმზირასა და არაქისის მოსავლიანობის ამაღლებისა და საერთო მოსავლის გადიდების შესახებ“.

7. მე-3 და მე-5 პუნქტები საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსა და საქართველოს კპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1947 წლის 23 აპრილის № 359 დადგენილებისა „1947 წლის ნავიგაციის დროს ხე-ტყის დაცურების ჩატარების ღონისძიებათა შესახებ“.

8. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსა და საქართველოს კპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1947 წლის 13 მაისის № 452 დადგენილება „კოლმეურნეობებში მარცვლეულ-პარკოსანი კულტურების თესვის 1947 წლის გეგმის შესახებ“.

ეროვნული ბიბლიოთეკა

9. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსა და საქართველოს კპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1947 წლის 22 აგვისტოს № 915 დადგენილება „პირუტყვის შეძენაში უძროხო და უპირუტყვო კოლმეურნეებისათვის დახმარების გაწევის შესახებ“.

10. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსა და საქართველოს კპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1947 წლის 12 სექტემბრის № 1005 დადგენილება „ლობიოს ნათესების გაფართოებისა და მოსავლიანობის გადიდების შესახებ“.

11. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსა და საქართველოს კპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1947 წლის 16 ოქტომბრის № 1167 დადგენილება „1948 წელს თუთის სარგავი მასალის გამოყვანისა და სანერგეების მოწყობის ღონისძიებათა შესახებ“.

12. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსა და საქართველოს კპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1947 წლის 3 ოქტომბრის № 1093 დადგენილება „საშემოდგომო ხორბლის თესვისა და 1948 წლის მოსავლიანობის გეგმის შესახებ“.

13. მე-6 პუნქტი საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსა და საქართველოს კპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1948 წლის 16 მარტის № 211 დადგენილებისა „1948 წლის ნავიგაციისათვის ხე-ტყის დაცურების მომზადებისა და ჩატარების ღონისძიებათა შესახებ“.

14. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსა და საქართველოს კპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1949 წლის 21 ივნისის № 678 დადგენილება „1949 წელს თივის აღებისა და საკვების დასილოსების ჩატარების ღონისძიებათა შესახებ“.

15. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსა და საქართველოს კპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1949 წლის 25 აგვისტოს № 1091 დადგენილება „ტუნგოს კულტურის შემდგომი განვითარებისა და ტუნგოს ნარგავების მოსავლიანობის გადიდების ღონისძიებათა შესახებ“.

16. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსა და საქართველოს კპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1949 წლის 25 აგვისტოს № 1092 დადგენილება „ცხვრის სულადობის მინიმუმის გადიდების შესახებ საქართველოს სსრ იმ კოლმეურნეობებისათვის, რომლებიც სარგებლობენ მიწის სამუდამოდ სარგებლობის აქტებში ჩაურიცხავი სახელმწიფო ფონდის მიწებით“.

17. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსა და საქართველოს კპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1949 წლის 6 ოქტომბრის № 1337 დადგენილება „ზოგიერთი რაიონის კოლმეურნეობებში მსხვილფეხა რქიანი პირუტყვის სულადობის მინიმუმის ცხვრისა და თხის სულადობის მინიმუმით შეცვლის შესახებ“.

18. მე-3, მე-5, მე-6, მე-7, მე-14. 23-ე პუნქტები საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსა და საქართველოს კპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1949 წლის 11 ნოემბრის № 1537 დადგენილებისა „1950-1960 წლებში მეაბრეშუმეობის აღმავლობის, პარკის დამზადებისა და პირველადი დამუშავების გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ“.

19. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსა და საქართველოს კპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1949 წლის 17 ნოემბრის № 1560 დადგენილება „ერთწლიანი სასოფლო-სამეურნეო სკოლების მუშაობის გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ“.

ეროვნული ბიბლიოთეკა

20. მე-13 პუნქტი საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსა და საქართველოს კპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1950 წლის 17 თებერვლის № 205 დადგენილებისა „სახელმწიფოსათვის ჩასაბარებელი თამბაქოს მოსავლიანობის შემდგომი გადიდების და ხარისხის გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ“.

21. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსა და საქართველოს კპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1950 წლის 19 ივლისის № 897 დადგენილება „თივის თიბვის, დასილოსების არადამაკმაყოფილებლად მიმდინარეობისა და 1950-1951 წლის ზამთრის პერიოდში კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების საზოგადოებრივი მეცხოველეობისათვის საკვების დაგროვების გეგმის შესრულების გადაუდებელ ღონისძიებათა შესახებ“.

22. მე-5 პუნქტი საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსა და საქართველოს კპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1950 წლის 7 სექტემბრის № 1209 დადგენილებისა „სარწყავი მიწების უფრო სრულად გამოყენებისა და სასოფლო-სამეურნეო სამუშაოთა მექანიზაციის გაუმჯობესების მიზნით რწყვის ახალ სისტემაზე გადასვლის შესახებ“.

23. მე-9 პუნქტი საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსა და საქართველოს კპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1951 წლის 25 აპრილის № 496 დადგენილებისა „კოლმეურნეობათა თავმჯდომარეების მომზადებისა და გადამზადების გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ“.

24. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსა და საქართველოს კპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1951 წლის 15 ივნისის № 746 დადგენილება „საქართველოს სსრ კოლმეურნეობებში მეცხოველეობის სადგომების მშენებლობის არადამაკმაყოფილებელი მდგომარეობის შესახებ“.

25. მე-20, 21-ე და 23-ე პუნქტები საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსა და საქართველოს კპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1951 წლის 2 აგვისტოს № 1004 დადგენილებისა „1951-1955 წლებისათვის მატყლის დამზადების გადიდებისა და მეცხვარეობის განვითარების ზომების შესახებ“ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1951 წლის 25 ივნისის № 2167 დადგენილების შესრულების ღონისძიებებზე“.

26. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსა და საქართველოს კპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1951 წლის 12 ოქტომბრის № 1460 დადგენილება „სარწყავი სასოფლო-სამეურნეო კულტურების დასათესად იმ მიწების გამოყენების გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ, რომლებსაც სარწყავი ქსელი აქვთ“.

27. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსა და საქართველოს კპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1951 წლის 7 დეკემბრის № 1723 დადგენილება „1951-1952 წლის ზამთრის პერიოდისათვის კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების პირუტყვის გამოზამთრების ჩატარების საქმეში არსებულ სერიოზულ ნაკლოვანებათა შესახებ“.

28. მე-4 პუნქტის „ბ“ და „გ“ ქვეპუნქტები და მე-14 პუნქტი საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსა და საქართველოს კპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1952 წლის 24 აპრილის № 496 დადგენილებისა „საქართველოს სსრ კოლმეურნეობებში თამბაქოს მოსავლიანობის გადიდების ზომების შესახებ“.

ეროვნული ბიბლიოთეკა

29. საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1954 წლის 28 დეკემბრის № 1173 დადგენილება „1954 წლის 1 ოქტომბრიდან 1955 წლის 1 ოქტომბრამდე პროდუქტიული პირუტყვის სულადობისა და მეცხოველეობის პროდუქტიულობის გადიდების გეგმის შესახებ“.

---

4 საინფორმაციო ბიულეტენის — „საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოში“ გამოცემის შესახებ

იმ მიზნით, რომ კომუნისტები ფართოდ და რეგულარულად გაეცნონ პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და რესპუბლიკის მთავრობის მიერ დასახულ უმნიშვნელოვანეს ღონისძიებებს, საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტი და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ე ნ:

1. დაიწყოს 1973 წლის იანვრიდან საინფორმაციო ბიულეტენის „საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოში“ გამოცემა ქართულ და რუსულ ენებზე.

2. ბიულეტენში გამოქვეყნდეს შინაარსი საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებებისა და სხვა მასალებისა პარტიულ-ორგანიზაციული, იდეოლოგიური, პოლიტიკურ-აღმზრდელობითი მუშაობის, მრეწველობის, სოფლის მეურნეობის, მეცნიერებისა და კულტურის უმნიშვნელოვანეს საკითხებზე, აგრეთვე პარტიული, სახელმწიფო და შრომის დისციპლინის შემდგომი განმტკიცების საკითხებზე.

3. ბიულეტენის მასალები რეგულარულად გაეცნოს კომუნისტებს პირველადი პარტიული ორგანიზაციების კრებებზე.

4. დაწესდეს ბიულეტენის საშუალო მოცულობა — 1,5 საავტორო თაბახი; ქაღალდის ფორმატი 60×90 1/16; ყდა—რბილი, საშრიფტო; პერიოდულობა—1 ნომერი თვეში; ტირაჟი — 8000 ცალი ქართულ ენაზე, 4000 ცალი რუსულ ენაზე (უფასოდ).

5. ბიულეტენის გამოსაცემად მომზადებისათვის შეიქმნას სარედაქციო-საგამომცემლო ჯგუფი, დანართის თანახმად.

6. პასუხისმგებლობა ბიულეტენის გამოშვებისათვის დაეკისროთ საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის ორგანიზაციულ-პარტიული მუშაობის, პროპაგანდის, საერთო განყოფილებებსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს საქმეთა მმართველობას.

7. ბიულეტენის გამოცემა (აწყობა, ბეჭდვა, კორექტურა, აკინძვა) დაევალოს საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობას.

8. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სახელმწიფო საგეგმო კომიტეტმა გამოუყოს საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობას სა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბეჭდი ქაღალდი და პოლიგრაფიული მასალები ამ დადგენილების მე-4 პუნქ-ტის შესაბამისად.

9. საქართველოს სსრ ფინანსთა სამინისტრომ გამოჰყოს სარედაქციო-საგამომცემლო ჯგუფის საშტატო ერთეულები და მისი შენახვის ხარჯები ამ დადგენილების მე-5 პუნქტის თანახმად მმართველობის ორგანოების შენახვის ხარჯების შესაბამისი შემცირებით.

10. საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის საქმეთა მმართველობამ უზრუნველყოს სარედაქციო-საგამომცემლო ჯგუფი სამუშაო ადგილით.

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი	საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე
ე. შევარდნაძე.	**გ. ჯავახიშვილი.**

ქ. თბილისი, 1973 წ. 9 იანვარი, № 29

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1973 წლის 9 იანვრის № 24 დადგენილების დანართი

საშტატო განრიგი

საინფორმაციო ბიულეტენის—„საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოში“ სარედაქციო-საგამომცემლო ჯგუფისა

თანამდებობათა დასახელება	საშტატო ერთეულების რაოდენობა	საშტატო ერთეულის თვიური ხელფასი	თვიური თანამდებობრივი განაკვეთი
1. უფროსი რედაქტორი	1	200 მან.	200 მან.
2. რედაქტორი (ქართ.)	0,5	60 მან.	120 მან
3. რედაქტორი (რუს.)	0,5	60 მან.	120 მან.
4. მემანქანე (ქართ.)	0,5	40 მან.	80 მა
5. მემანქანე (რუს.)	0,5	40 მან.	80 მან.
სულ:	3,0	400 მან.	

შენიშვნა: სარედაქციო-საგამომცემლო ჯგუფის რედაქტორებსა და მემანქანეებს საჭიროების შემთხვევაში უფლება აქვთ იმუშაონ შეთავსებით.

5 საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული მეცნიერებისა და ტექნიკის დარგის საქართველოს სსრ სახელმწიფო პრემიების კომიტეტის დებულებაში დამატების შეტანის შესახებ

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტი და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ადგენენ:

დაემატოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული მეცნიერებისა და ტექნიკის დარგის საქართველოს სსრ სახელმწიფო პრემიების კომიტეტის დებულების მე-4 პუნქტს შემდეგი შენიშვნა:

„კომიტეტის წევრები, რომელთა ნაშრომებიც წარდგენილია მეცნიერებისა და ტექნიკის დარგის საქართველოს სსრ სახელმწიფო პრემიების მოსაპოვებლად, დახურულ კენჭისყრაში არ მონაწილეობენ.“

საქართველოს კპ
ცენტრალური კომიტეტის მდივანი
ე. შევარდნაძე.

საქართველოს სსრ
მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე
გ. ჯავახიშვილი.

ქ. თბილისი, 1973 წ. 23 იანვარი, № 36.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებები

6 სახელმწიფო ავტომობილების შენახვისა და ექსპლუატაციის წესების დაცვისადმი კონტროლის გაძლიერების ღონისძიებათა შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო აღნიშნავს, რომ უკანასკნელ დროს რესპუბლიკაში გამოვლინდა სახელმწიფო ავტომობილების შენახვისა და ექსპლუატაციის წესების დარღვევის მრავალი ფაქტი. სამინისტროებმა, უწყებებმა, საწარმოებმა, ორგანიზაციებმა და დაწესებულებებმა შეასუსტეს ყურადღება საავტომობილო ტრანსპორტის ტექნიკური მდგომარეობისადმი, მისი მუშაობისა და მომსახურების არსებული წესის დაცვისადმი. ზოგიერთ ორგანიზაციას, საწარმოსა და დაწესებულებას არა აქვს გარაჟები და სპეციალური ავტოსადგომები, სატრანსპორტო საშუალებათა ნორმალური მომსახურებისა და შენახვისათვის საჭირო მოწყობილობა. სამინისტროების, უწყებებისა და ორგანიზაციების საქვეუწყებო ავტოსატრანსპორტო მეურნეობებში დაბალია შრომისა და საწარმოო დისციპლინა. ხშირია შემთხვევები, როცა სახელმწიფო სატრანსპორტო საშუალებებს (სატვირთო და მსუბუქ ავტომანქანებს, ავტობუსებს) მძღოლები პირადი გამორჩენის მიზნით იყენებენ, ხოლო ავტომეურნეობათა ხელმძღვანელები არ იღებენ ჯეროვან ზომებს ამგვარ ბოროტმოქმედებათა აღსაკვეთად. მეტი წილი სახელმწიფო ავტომობილები ღამით უმეთვალყურეოდაა ქუჩებში, მძღოლთა სახლებში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სახელმწიფო ავტოტრანსპორტის შენახვისა და ექსპლუატაციის საქმეში არსებული ნაკლოვანებანი ხელს უწყობენ მოძრაობის ინტენსივობის გადიდებას რესპუბლიკის დასახლებულ პუნქტებში და გზებზე, უარყოფითად მოქმედებენ მოძრაობის უსაფრთხოების წესების დაცვაზე და ამის შედეგად იწვევენ საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევების რაოდენობის ზრდას.

სახელმწიფო ავტომანქანების ყოფნა ღამით გარაჟების გარეთ — ქუჩებში, მძღოლთა სახლებში — ერთ-ერთი მიზეზია იმისა, რომ 1972 წელს ქ. თბილისში ჩადენილი ავტომობილების გატაცების 590 ფაქტიდან 240-ზე მეტი სახელმწიფო ორგანიზაციების კუთვნილი ავტომობილების წილად მოდის.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. დაევალოთ რესპუბლიკის სამინისტროებს, უწყებებსა და ორგანიზაციებს, აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებს, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, ქალაქებისა და რაიონების მშრომელთა დეპუტატების საბჭოების აღმასკომებს:

ა) დასახონ და განახორციელონ კონკრეტული ღონისძიებანი სახელმწიფო სატრანსპორტო საშუალებათა შენახვისა და გამოყენების საქმეში სრული წესრიგის დასამყარებლად;

ბ) მკვეთრად გააძლიერონ საქვეუწყებო ავტომეურნეობების ხელმძღვანელთა პასუხისმგებლობა სახელმწიფო ავტოტრანსპორტის ექსპლუატაციის არსებული წესის განუხრელად დაცვისათვის, მკაცრად დასაჯონ მისი დამრღვევი პირები, მათ შორის მოხსნან სამუშაოდანაც კი;

გ) უთუოდ შეასრულონ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1970 წლის 30 ნოემბრის № 633 დადგენილების მე-5 პუნქტი, რომელიც განსაზღვრავს საქვეუწყებო გარაჟებში ან რესპუბლიკის საავტომობილო ტრანსპორტის სამინისტროს გარაჟებში სახელმწიფო მსუბუქი ავტომანქანების შენახვის წესს;

დ) განსაკუთრებული ყურადღება დაუთმონ ავტობუსების პარკის მოვლას, მომსახურებასა და დანიშნულებისამებრ გამოყენებას;

ე) მიიღონ გადამჭრელი ზომები, რათა არ დაუშვან სახელმწიფო ავტომობილების ყოფნა სამუშაო დროის დამთავრების შემდეგ გარაჟების ან სადგომად განკუთვნილი ადგილების გარეთ, მძღოლთა სახლებში.

2. დაევალოს საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტროს:

ა) სისტემატური კონტროლი გაუწიოს სახელმწიფო ავტომობილების შენახვისა და ექსპლუატაციის არსებული წესის, აგრეთვე სამუშაო დროის დამთავრების შემდეგ მათი დგომის წესის დაცვას, და მიიღოს საჭირო ზომები გამოვლინებულ დარღვევათა აღმოსაფხვრელად;

ბ) იმ შემთხვევებში, როცა სახელმწიფო, საზოგადოებრივი და კოოპერაციული ორგანიზაციების კუთვნილი სატრანსპორტო საშუალებანი სამუშაო დროის დამთავრების შემდეგ და ღამით აღმოჩნდება უმეთვალყურეოდ გარაჟების, დაცული ეზოებისა და სპეციალურად ამ მიზნით გამოყოფილი ტერიტორიების გარეთ, აგრეთვე მძღოლთა სახლებში, შეატყობინოს ეს შესაბამის სამინისტროთა, უწყებათა და ორგანიზაციათა ხელმძღვანელებს ზომების მისაღებად, მსგავსი ფაქტების განმეორების შემთხვევაში მოხსნას ავტომანქანებს

ეროვნული ბიბლიოთეკა

სახელმწიფო სანომრო ნიშნები და მათი სიები წარმოუდგინოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს საქმეთა მმართველობას.

ეს პუნქტი ძალაში შედის:

— ქ. თბილისში — 1973 წლის 20 იანვრიდან;

— რესპუბლიკის ქალაქებში, რაიონულ ცენტრებსა და სოფლებში — 1973 წლის 1 აპრილიდან;

გ) არ გაუფორმოს სახელმწიფო ავტომობილების დოკუმენტები ორგანიზაციებს, რომლებიც უზრუნველყოფილი არ არიან ავტომანქანების სადგომი შესაბამისი ადგილებით და მათი მომსახურებისათვის მინიმალურად საჭირო მოწყობილობით.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **გ. ჯავახიშვილი.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ზ. ახვლედიანი.**

ქ. თბილისი, 1973 წ. 8 იანვარი, № 3

7 მშრომელთა დეპუტატების რაიონული, საქალაქო საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის საფინანსო განყოფილების დებულებაში დამატების შეტანის შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

მიღებულ იქნეს საქართველოს სსრ სახალხო კონტროლის კომიტეტის წინადადება და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1972 წლის 15 სექტემბრის № 485 დადგენილებით დამტკიცებული მშრომელთა დეპუტატების რაიონული, საქალაქო საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის საფინანსო განყოფილების დებულების მე-4 და მე-5 პუნქტებს დაემატოს შემდეგი შინაარსის აბზაცები:

„4. კონტროლს უწევს სახალხო კონტროლის კომიტეტების მიერ წარმოებული ფულადი **დარიცხვის თანხების დროულად გადახდევინებასა** და გადარიცხვას იმ საწარმოს, კოლმეურნეობის, დაწესებულების ან ორგანიზაციის ადგილსამყოფელის მიხედვით, რომლებიც აწარმოებენ ფულადი დარიცხვის გადახდევინებას“.

„5. სახელმწიფო, კოოპერაციულ-საკოლმეურნეო და საზოგადოებრივი სახსრებისა და მატერიალური რესურსების არასწორი და უყაირათო ხარჯვის ფაქტების გამოვლინებისას, რამაც მატერიალური ზარალი მიაყენა სახელმწიფოს ან საზოგადოებრივ ორგანიზაციას და თანამდებობის პირთა მიერ თავიანთი მო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვალეობის არადამაკმაყოფილებელი შესრულების შედეგია, მშრომელთა დეპუტატების რაიონული, საქალაქო საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის საფინანსო განყოფილება მასალებს წარუდგენს სახალხო კონტროლის შესაბამის კომიტეტს დამნაშავეთა მიმართ ზომების მისაღებად და ფულადი დარიცხვის საწარმოებლად, უკეთუ აღნიშნული მოქმედება თავისი ხასიათით არ იწვევს სისხლის სამართლის სასჯელს“.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **გ. ჯავახიშვილი.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ზ. ახვლედიანი.**

ქ. თბილისი, 1973 წ. 12 იანვარი, № 12

8 საქართველოს მუსიკალური და ქორეოგრაფილი საზოგადოების წესდების დამტკიცების შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

დამტკიცდეს საქართველოს მუსიკალური და ქორეოგრაფიული საზოგადოების თანდართული წესდება.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **გ. ჯავახიშვილი.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ზ. ახვლედიანი.**

ქ. თბილისი, 1973 წ. 12 იანვარი, № 13

ეროვნული ბიბლიოთეკა

დამტკიცებულია
საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
1973 წლის 12 იანვრის № 13
დადგენილებით

საქართველოს მუსიკალური და ქორეოგრაფიული საზოგადოების

წესდება

I. საქართველოს მუსიკალური და ქორეოგრაფიული საზოგადოების ამოცანები

1. საქართველოს მუსიკალური და ქორეოგრაფიული საზოგადოება არის ნებაყოფლობითი შემოქმედებითი ორგანიზაცია, რომელიც აერთიანებს საქართველოს მუსიკალური და ქორეოგრაფიული ხელოვნების მუშაკებსა და მოყვარულთ, ხელს უწყობს სოციალისტური რეალიზმის მეთოდის საფუძველზე მუსიკალური და ქორეოგრაფიული ხელოვნების პროპაგანდას და შემდგომ განვითარებას, მუსიკალური და ქორეოგრაფიული ხელოვნების ცნობილ მოღვაწეთა შემოქმედებითი მემკვიდრეობის ათვისებას.

2. საზოგადოების მთელი შემოქმედებითი მოღვაწეობა დაფუძნებულია მაღალ პარტიულ-იდეურ პრინციპებზე და მიმართულია იქითკენ, რომ დაეხმაროს საბჭოთა კავშირის კომუნისტურ პარტიას საბჭოთა ხალხის — კომუნიზმის მშენებელთა ესთეტიკური გემოვნების ამაღლებასა და მხატვრულ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილების საქმეში.

3. საქართველოს მუსიკალური და ქორეოგრაფიული საზოგადოების ძირითადი მიზანია ყოველმხრივ შეუწყოს ხელი რესპუბლიკაში მუსიკალური, საგუნდო და ქორეოგრაფიული ხელოვნების ყველა სახისა და ჟანრის განვითარებას.

4. საქართველოს მუსიკალური და ქორეოგრაფიული საზოგადოების მთელი საქმიანობა წარიმართება საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროს, საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს და მათს ადგილობრივ ორგანოებთან, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ტელევიზიისა და რადიომაუწყებლობის სახელმწიფო კომიტეტთან, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს პროფესიულ-ტექნიკური განათლების სახელმწიფო კომიტეტთან, საზოგადოება „ცოდნასთან", მუსიკალურ, ქორეოგრაფიულ, თეატრალურ ორგანიზაციებსა და დაწესებულებებთან, პარტიულ, კომკავშირულ, პროფკავშირულ ორგანიზაციებთან მჭიდრო შემოქმედებითს კავშირში.

5. საქართველოს მუსიკალური და ქორეოგრაფიული საზოგადოება მთელ თავის მუშაობას წარმართავს მისი წევრებისა და ორგანიზაციების ფართო ინიციატივასა და თვითმოქმედებაზე დაყრდნობით, მათი აქტიური მონაწილეობით.

6. საქართველოს მუსიკალური და ქორეოგრაფიული საზოგადოების ორგანიზაციული აგების საფუძველს წარმოადგენს დემოკრატიული ცენტრალიზმი.

7. დასახული მიზნებისა და ამოცანების შესაბამისად საქართველოს მუსიკალური და ქორეოგრაფიული საზოგადოება:

— მუშაობას ეწევა მოსახლეობის, კერძოდ, ახალგაზრდობისა და ბავშვობის მუსიკალური აღზრდისა და ქორეოგრაფიული ხელოვნების შემდგომი განვითარებისა და პოპულარიზაციისათვის;

— ფართო საქმიანობას ეწევა სხვადასხვა ჟანრის, ახალი მუსიკალური, საგუნდო და ქორეოგრაფიული კოლექტივების შესაქმნელად;

— აქტიურ პროპაგანდას უწევს ხალხური საგუნდო და ქორეოგრაფიული ხელოვნების, ქართული, საბჭოთა და მსოფლიო კლასიკური საგუნდო ლიტერატურის, საბჭოთა კავშირისა და სხვა ქვეყნების გამოჩენილ კომპოზიტორთა მუსიკალურ და საგუნდო ნაწარმოებების საუკეთესო ნიმუშებს;

— აწყობს მუსიკის, სიმღერისა და ცეკვის დღესასწაულებს, დათვალიერებებს, ოლიმპიადებს, კონკურსებს, კონცერტებს და საზოგადოების წესდებიდან გამომდინარე სხვა ღონისძიებებს;

— საშეფო დახმარებას უწევს საბჭოთა არმიის მუსიკალურ, საგუნდო და ქორეოგრაფიულ კოლექტივებს;

— დახმარებას უწევს საშუალო სკოლებს, კულტურის უნივერსიტეტებს, უმაღლეს და სხვა სასწავლო დაწესებულებებს მუსიკალური აღზრდის გაუმჯობესების საქმეში;

— აწყობს ლექციებს, მოხსენებებს, საუბრებს მუსიკალური ხელოვნების სხვადასხვა საკითხებზე;

— გამოცდილებას უზიარებს ყველა სახისა და ჟანრის მუსიკალურ, საგუნდო და ქორეოგრაფიულ კოლექტივებს; პროპაგანდას უწევს საუკეთესო კოლექტივების გამოცდილებას, ხელს უწყობს ნიჭიერ შემოქმედთა გამოვლინებას, მათ ზრდასა და წინსვლას;

— კლასიკური, თანამედროვე და ხალხური მუსიკისა და ქორეოგრაფიის პროპაგანდისათვის თავისი წევრების და სპეციალისტების ძალებით აწყობს ლექცია-კონცერტებს;

— მჭიდრო ურთიერთობას ამყარებს როგორც მოკავშირე რესპუბლიკების, ისე დემოკრატიული ქვეყნების ანალოგიურ საზოგადოებებთან;

— ერთდროულ მატერიალურ დახმარებას უწევს საზოგადოების აქტიურად მომუშავე წევრებს, შუამდგომლობს მათთვის საპატიო წოდებათა მინიჭებისა და დაჯილდოების, აგრეთვე პერსონალური პენსიის დანიშვნის თაობაზე;

— საზოგადოების წევრებისათვის აშენებს საცხოვრებელ და შემოქმედებითს სახლებს, ხოლო მათი შვილებისათვის — პიონერთა ბანაკებს;

— ორგანიზაციულ და შემოქმედებითს დახმარებას უწევს მოყვარულთა (ხალხურ) მუსიკალურ და ქორეოგრაფიულ კოლექტივებს, შემოქმედების და მხატვრული თვითმოქმედების სახლებს;

— მუშაობას ეწევა უძველესი ხალხური მუსიკალური და ქორეოგრაფიული ხელოვნების, თანამედროვე ხალხური ცეკვების შესასწავლად და პროპაგანდისათვის; აწყობს ფოლკლორულ ექსპედიციებს, ხალხური მუსიკისა და ცეკვების სექციებსა და კაბინეტებს;

— საქართველოს პროფსაბჭოსთან, საქართველოს სსრ კულტურისა და განათლების სამინისტროებთან, სასწავლო და სხვა სახელმწიფო და საზოგადო-

№ 1 ეროვნული ბიბლიოთეკა

ებრივ ორგანიზაციებთან ერთად ამზადებს და კვალიფიკაციას უმაღლებს მხატვრული თვითმოქმედების წრეების ხელმძღვანელებს, აწყობს კურსებსა და სემინარებს სკოლებში სიმღერისა და ცეკვის მასწავლებელთა მომზადებისა და კვალიფიკაციის ასამაღლებლად;

— ატარებს კონფერენციებს, თათბირებს, შეხვედრებს საბჭოთა მუსიკალური და ქორეოგრაფიული ხელოვნების შემოქმედებითს საკითხებზე;

— შემოქმედებითს მივლინებაში გზავნის თავის წევრებს საბჭოთა ხალხის მუსიკალური და ქორეოგრაფიული კულტურისა და ყოფის დარგში გამოცდილების გასაზიარებლად და მიღწევების გასაცნობად;

— უკვეთავს და მატერიალურად ეხმარება ხელოვნების დარგის მუშაკებს მაღალმხატვრული მუსიკალური და საგუნდო ნაწარმოების შესაქმნელად;

— გამოსცემს მუსიკალური კულტურისა და ქორეოგრაფიული ხელოვნების საკითხებზე დამხმარე სახელმძღვანელოებს, კრებულებსა და საინფორმაციო ფურცლებს ცალკეული მუსიკალური და ქორეოგრაფიული კოლექტივების შემოქმედებითს საქმიანობაზე, მათს ანგარიშებს გამოცდილების გაზიარების შესახებ, და მონოგრაფიებს ღვაწლმოსილ მუსიკოსებსა და ქორეოგრაფებზე;

— შეაქვს ზემდგომ ორგანოებში პრინციპული და კონკრეტული წინადადებანი მუსიკალური განათლებისა და ქორეოგრაფიის შემდგომი განვითარების საკითხებზე;

— ზემდგომი ორგანოების სათანადო ნებართვით საზოგადოების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გასაძლიერებლად აწყობს საწარმოებსა და საწარმოო კომბინატებს არსებული წესების მიხედვით;

— წარადგენს ზემდგომ ორგანოებში წინადადებებს ცნობილ მუსიკალურ და ქორეოგრაფიულ მოღვაწეთა ხსოვნის უკვდავყოფის შესახებ (ძეგლებისა და ბიუსტების დადგმა, მემორიალური დაფების გაკეთება და სხვ.).

II. საქართველოს მუსიკალური და ქორეოგრაფიული საზოგადოების შემადგენლობა

მისი წევრების უფლება-მოვალეობანი

8. საქართველოს მუსიკალურ და ქორეოგრაფიულ საზოგადოებაში იურიდიული წევრების უფლებით შედიან აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, რესპუბლიკის ქალაქებისა და რაიონების მუსიკალური და ქორეოგრაფიული საზოგადოებები.

9. საქართველოს მუსიკალური და ქორეოგრაფიული საზოგადოების საფუძველია პირველადი ორგანიზაცია — მისი საბჭო, რომელიც იქმნება ნებაყოფლობით სახელმწიფო, კოოპერაციულ და საზოგადოებრივ საწარმოებში, საბჭოთა მეურნეობებში, კოლმეურნეობებში, დაწესებულებებში, სასწავლებლებსა და თეატრებში, მუსიკალურ დაწესებულებებში, შემოქმედებითს კავშირებში, კულტურის სასახლეებსა და სახლებში, კლუბებსა და სხვა კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებებში, სადაც საზოგადოების წევრად გახდომის მსურველთა რაოდენობა არ არის 5 კაცზე ნაკლები.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საბჭოს უფლება აქვს გააერთიანოს და მიიღოს პირველადს ორგანიზაციაში როგორც მუშა-მოსამსახურენი, ისე პენსიონერები და დიასახლისები.

პირველადი ორგანიზაცია (მისი საბჭო) შედის საზოგადოების საქალაქო ან რაიონული ორგანიზაციის შემადგენლობაში.

10. საქართველოს მუსიკალური და ქორეოგრაფიული საზოგადოების გამგეობასთან, ავტონომიური რესპუბლიკებისა და ოლქის საზოგადოებების გამგეობებთან, ქალაქებისა და რაიონების გამგეობებთან შეიძლება იყოს ყველა სახისა და ჟანრის მუსიკალური, საგუნდო და ქორეოგრაფიული კოლექტივები, საერთო მუსიკალური განათლების კურსები, გუნდის ხელმძღვანელთა და ქორეოგრაფთა კურსები და სემინარები, მუსიკალური სკოლები, მუსიკალური და ქორეოგრაფიული სასწავლებლები, ლექტორიუმები, მუსიკალური სალონები, კლუბები, ბიბლიოთეკები და ფონოტეკები, მეთოდური და ფოლკლორის კაბინეტები და გამოფენები.

11. საქართველოს მუსიკალური და ქორეოგრაფიული საზოგადოება შედგება:

ა) კოლექტიური წევრებისაგან;

საზოგადოების კოლექტიურ წევრებად შეიძლება გახდნენ: სახელმწიფო და კოოპერაციული საწარმოები, დაწესებულებები და ორგანიზაციები, ფაბრიკები, ქარხნები, საბჭოთა მეურნეობები, კოლმეურნეობები, უმაღლესი და საშუალო სპეციალური სასწავლებლები, სამეცნიერო ორგანიზაციები და კოლექტივები, კულტურის სასახლეები და სახლები, სკოლები, თეატრები, კლუბები და სხვა კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებები, შემოქმედებითი კოლექტივები, რომელთაც სურთ აქტიური მონაწილეობა მიიღონ მუსიკალური და ქორეოგრაფიული საზოგადოების შემოქმედებითი და ორგანიზაციული საქმიანობის განვითარებაში.

საზოგადოებაში კოლექტიურ წევრებად მიღების საკითხს წყვეტს საქართველოს მუსიკალური და ქორეოგრაფიული საზოგადოების ადგილობრივი ორგანოები;

ბ) ინდივიდუალური წევრებისაგან;

საზოგადოების წევრად მიიღება ყველა მოქალაქე;

გ) საპატიო წევრებისაგან, რომლებსაც ირჩევს საზოგადოების ყრილობა;

12. საზოგადოების საპატიო წევრებს უფლება აქვთ, გადამწყვეტი ხმის უფლებით, დელეგატად არჩევის გარეშე მიიღონ მონაწილეობა საზოგადოების **კონფერენციების და ყრილობების მუშაობაში, შეიტანონ საზოგადოების პრეზიდიუმში საზოგადოების მუშაობის გაუმჯობესებასთან დაკავშირებული** საკითხები და მოითხოვონ მისი აუცილებელი განხილვა, დაესწრონ გამგეობების, პრეზიდიუმის სხდომებს სათათბირო ხმის უფლებით, უპირატესად ისარგებლონ **საბინაო ფონდით და შემოქმედებითი საგზურით.**

13. საზოგადოების წევრად მიღება ხდება პირველადი ორგანიზაციის მიერ ღია კენჭისყრით.

საზოგადოების წევრად შემსვლელი მოსწავლე იხდის ერთდროულ საწევრო შესატანს 30 კაპიკის ოდენობით, ყველა დანარჩენი პირი — 50 კაპიკს.

საწევრო შესატანი ყოველწლიურია და განისაზღვრება;

ეროვნული ბიბლიოთეკა

ა) მოსწავლეთათვის — 10 კაპ.

ბ) სტუდენტებისათვის — 20 კაპ.

გ) პროფესიონალებისათვის და მხატვრული თვითმოქმედი წრეების ხელმძღვანელთათვის — 1 მანეთი;

დ) დანარჩენებისათვის — 20 კაპ.

კ) იურიდიული წევრებისათვის (კოლექტიური წევრებისათვის) — 25 მანეთიდან ზევით;

საზოგადოების საპატიო წევრები საწევრო შესატანისაგან თავისუფლდებიან.

14. საზოგადოების წევრი ვალდებულია:

ა) დაიცვას და შეასრულოს საზოგადოების წესდებით გათვალისწინებული მოთხოვნები;

ბ) აქტიური მონაწილეობა მიიღოს საზოგადოების შემოქმედებითს საქმიანობაში;

გ) შეასრულოს საზოგადოების ზემდგომი ორგანოების დავალებანი;

დ) დროულად შეიტანოს საწევრო შესატანი;

15. საზოგადოების წევრს უფლება აქვს:

ა) აირჩიოს საზოგადოების ხელმძღვანელი ორგანოები და თვით იქნას არჩეული;

ბ) დაესწროს საზოგადოების მიერ მოწყობილ სემინარებსა და სხვა ღონისძიებებს, ისარგებლოს საზოგადოების კონსულტაციებითა და მეთოდური მასალებით;

გ) რადიომაუწყებლობის, ტელევიზიისა და პრესის საშუალებით ფართოდ გააშუქოს საზოგადოების საქმიანობა, მისი მუშაობის დადებითი და უარყოფითი მხარეები;

დ) ისარგებლოს საზოგადოების განკარგულებაში არსებული კულტურულ-საყოფაცხოვრებო მომსახურებით, ფულადი დახმარებითა და შეღავათებით.

16. საზოგადოების რიგებიდან წევრის გარიცხვა ხდება საზოგადოების პირველადი ორგანიზაციის მიერ, იმ შემთხვევაში თუ:

ა) საზოგადოების წევრმა ჩაიდინა ანტისაზოგადოებრივი ხასიათის საქციელი;

ბ) არაერთგზის დაარღვია საზოგადოების წესდება;

გ) არ შეიტანა საწევრო შესატანი ერთი წლის განმავლობაში;

დ) სისტემატურად არიდებს თავს საქართველოს მუსიკალური და ქორეოგრაფიული საზოგადოების საქმიანობას.

საზოგადოების წევრთა შემადგენლობიდან გარიცხვის შესახებ საჩივარი განიხილება ინსტანციური წესით. საკითხი საბოლოოდ გადაწყდება საქართველოს მუსიკალური და ქორეოგრაფიული საზოგადოების გამგეობის პრეზიდიუმის მიერ.

17. საქართველოს მუსიკალური და ქორეოგრაფიული საზოგადოების უმაღლესი ხელმძღვანელი ორგანოა ყრილობა, რომელიც მოწვეული უნდა იქნას ოთხ წელიწადში ერთხელ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საზოგადოების რიგგარეშე ყრილობა შეიძლება მოწვეულ იქნას საზოგადოების გამგეობის გადაწყვეტილებით ან საზოგადოების წევრთა ერთი მესამედის მოთხოვნით. გამგეობისა და სარევიზიო კომისიის წევრები, რომლებიც არ არიან არჩეულნი ყრილობის დელეგატებად, ყრილობის მუშაობაში მონაწილეობენ სათათბირო ხმის უფლებით.

აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, ქალაქების და რაიონების, პირველადი ორგანიზაციების რწმუნებულთა არჩევნები ხდება 4 წელიწადში ერთხელ.

საზოგადოების ყრილობა:

ა) ამტკიცებს საზოგადოების წესდებას და შეაქვს მასში ცვლილებანი და დამატებანი;

ბ) განიხილავს ქართულ საგუნდო, მუსიკალურ-საშემსრულებლო და ქორეოგრაფიული ხელოვნების განვითარების ძირითად პრობლემებს და საზოგადოების სახელით შეაქვს წინადადებანი რესპუბლიკის ხელმძღვანელ ორგანოებში მუსიკალური და ქორეოგრაფიული საქმიანობის გასაუმჯობესებლად;

გ) აწესებს გამგეობისა და სარევიზიო კომისიის წევრთა რაოდენობას და ღია კენჭისყრით ირჩევს საზოგადოების გამგეობასა და სარევიზიო კომისიას;

დ) ისმენს და ამტკიცებს საზოგადოების გამგეობის და სარევიზიო კომისიის ანგარიშებს.

ყრილობათა შორის საქართველოს მუსიკალური და ქორეოგრაფიული საზოგადოების საქმიანობის ხელმძღვანელობას ახორციელებს გამგეობა, რომლის პლენუმები იწვევა წელიწადში ერთხელ.

18. საზოგადოების გამგეობა;

გარდა საგუნდო, მუსიკალურ-საშემსრულებლო და ქორეოგრაფიული ხელოვნების განვითარების ძირითადი პრობლემებისა და საზოგადოების საქმიანობის განხილვისა:

ა) ირჩევს ღია კენჭისყრით გამგეობის პრეზიდიუმს, პრეზიდიუმის თავმჯდომარესა და მოადგილეებს და პასუხისმგებელ მდივანს;

ბ) განსაზღვრავს საზოგადოების მორიგი ყრილობის წარმომადგენლობის ნორმებს.

საქართველოს მუსიკალური და ქორეოგრაფიული საზოგადოების აღმასრულებელ ორგანოდ ითვლება საზოგადოების გამგეობის პრეზიდიუმი.

19. საზოგადოების გამგეობის პრეზიდიუმი:

ა) ანაწილებს მოვალეობებს პრეზიდიუმის წევრთა შორის;

ბ) საზოგადოების მუშაობას წარმართავს პარტიის მითითებათა საფუძველზე, ამ წესდების, ყრილობისა და გამგეობის გადაწყვეტილებათა შესაბამისად;

გ) ხელმძღვანელობს საზოგადოების ცენტრალური აპარატის და ყველა მისი დაწესებულებისა და საწარმოს იდეურ-შემოქმედებით, საყოფაცხოვრებო, ორგანიზაციულ და ფინანსურ საქმიანობას, საზოგადოების ავტონომიურ, საოლქო, სარაიონო, საქალაქო გამგეობების მუშაობას, ისმენს პრეზიდიუმის სხდომებზე მათს საანგარიშო მოხსენებებს;

ეროვნული ბიბლიოთეკა

დ) შუამდგომლობს ზემდგომ ორგანოებში საპატიო წოდების მინიჭების შესახებ;

ე) ქმნის საზოგადოებრივ კომისიებს, შემოქმედებითს საბჭოებსა და სექციებს;

ვ) საზოგადოების მთელი შემოქმედებითი საქმიანობა წარიმართება სექციური მუშაობის პრინციპით.

სექციის ბიურო აერთიანებს მუსიკალური და ქორეოგრაფიული ხელოვნების გამოჩენილ მოღვაწეებსა და სპეციალისტებს;

ზ) შეიმუშავებს და ამტკიცებს დებულებებს საზოგადოებასთან არსებული კომისიების, საბჭოებისა და სექციების შესახებ;

თ) ადგენს და ამტკიცებს საზოგადოების ბიუჯეტს, საზოგადოების დაწესებულებებისა და საწარმოთა გეგმებს, ხარჯთაღრიცხვებსა და ანგარიშებს;

ი) აწარმოებს აღრიცხვას და ადგენს პერიოდულ ანგარიშგებას მოქმედი წესის საფუძველზე;

კ) იცავს საზოგადოების ინტერესებს სახელმწიფო და საზოგადოებრივ დაწესებულებათა, საწარმოთა და ორგანიზაციათა წინაშე; წარმომადგენლობს სასამართლოებსა და სახელმწიფო არბიტრაჟის ორგანოებში საქართველოს მუსიკალური და ქორეოგრაფიული საზოგადოების საქმეებზე;

ლ) თავის საქმიანობის განხორციელებაში ფართოდ იყენებს საზოგადოების აქტივს.

შენიშვნა: პრეზიდიუმი გადაწყვეტილებებს იღებს კოლეგიალურად, ღია კენჭისყრით, ხმის უმრავლესობით.

20. საქართველოს მუსიკალური და ქორეოგრაფიული საზოგადოების სარევიზიო ორგანოა სარევიზიო კომისია.

სარევიზიო კომისია:

ა) თავის შემადგენლობიდან ღია კენჭისყრით ირჩევს თავმჯდომარეს და მდივანს;

ბ) კონტროლს უწევს გამგეობისა და პრეზიდიუმის მიერ საზოგადოების წესდების, ყრილობაზე მიღებული გადაწყვეტილებებისა და სამუშაო გეგმების შესრულებას;

გ) აწარმოებს საზოგადოების საწარმოებისა და კულტურულ-საყოფაცხოვრებო დაწესებულებების სამეურნეო-საფინანსო საქმიანობისა და მატერიალურ-ფასეულობათა მდგომარეობის გამორკვევასა და დოკუმენტურ რევიზიებს;

დ) წარმოადგენს გამგეობისაგან დამოუკიდებელ საკონტროლო ორგანოს და თავისი საქმიანობის შესახებ ანგარიშს აბარებს საზოგადოების ყრილობას;

ე) უფლებამოსილია მოსთხოვოს გამგეობას, პრეზიდიუმს, ასევე მათ ცალკეულ წევრებს, საზოგადოებრივ საწარმოთა და დაწესებულებათა ხელმძღვანელებს, ყველა დოკუმენტი და მასალა, აგრეთვე ახსნა-განმარტება; მიიღოს მონაწილეობა გამგეობისა და პრეზიდიუმის სხდომებზე სათათბირო ხმის უფლებით;

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვ) თითოეული გამორკვევის ან დოკუმენტური რევიზიის შედეგებს გადასცემს საზოგადოების პრეზიდიუმს, სათანადო წინადადებებთან ერთად, რაც განხილული უნდა იქნას 15 დღის განმავლობაში. პრეზიდიუმისა და სარევიზიო კომისიას შორის წამოჭრილი სადავო საკითხები გადაიტანება გამგეობის მორიგ პლენუმზე, ან საზოგადოების მორიგ ყრილობაზე;

ზ) უფლებამოსილია მოიწვიოს სპეციალისტები რევიზიის ჩატარებაში დასახმარებლად.

III. საზოგადოების სახსრები

21. საქართველოს მუსიკალური და ქორეოგრაფიული საზოგადოების სახსრები იქმნება:

ა) შესასვლელი და საწევრო შენატანებისაგან;

ბ) საზოგადოების კუთვნილი საწარმოებისა და ქონების შემოსავლის გადასახადებისაგან, რომელთა რაოდენობას წარმოების სიმძლავრის მიხედვით განსაზღვრავს პრეზიდიუმი.

22. საქართველოს მუსიკალური და ქორეოგრაფიული საზოგადოება ქმნის:

1. ძირითად ფონდს;
2. სარეზერვო ფონდს;
3. სპეციალურ ფონდს;
4. კულტურულ ღონისძიებათა ფონდს;
5. სოციალურ-საყოფაცხოვრებო და საპრემიო ფონდს;

დახმარების ფონდს.

23. ძირითადი ფონდი იქმნება საზოგადოების წევრად მიღების ერთდროული გადასახდელის, საწევრო შენატანებისაგან და საზოგადოების საწარმოებისა და ქონების წმინდა მოგების ყოველწლიური ანარიცხებისაგან.

24. სარეზერვო ფონდი იქმნება საზოგადოების საწარმოებისა და ქონების წმინდა მოგების ყოველწლიური ანარიცხებისაგან და მისი დანიშნულებაა:

ა) საზოგადოების საქმიანობის შედეგად მიღებული შესაძლო ზარალის დაფარვა;

ბ) ერთდროული დაუბრუნებელი ან დასაბრუნებელი დახმარების აღმოჩენა გამგეობებისათვის შემოქმედებითი მუშაობის გაშლის, საწარმოო სამუშაოების ნორმალიზაციის, ახალი საწარმოების შექმნის და საბრუნავი სახსრების შევსების მიზნით.

25. სპეციალური ფონდი იქმნება საზოგადოების საწარმოებისა და ქონების წმინდა მოგების ყოველწლიური ანარიცხებისაგან და მის ოდენობასა და ხარჯვის დანიშნულებას განსაზღვრავს პრეზიდიუმი.

26. კულტურულ ღონისძიებათა ფონდი იქმნება საზოგადოების საწარმოებისა და ქონების წმინდა მოგების ყოველწლიური ანარიცხებისაგან და გამოიყენება საგამომცემლო მიზნებისათვის, ლექციური პროპაგანდისათვის, საბიბლიოთეკო ხარჯებისათვის და მუსიკალური საკრავების შესაძენად.

27. სოციალურ-საყოფაცხოვრებო და საპრემიო ფონდი იქმნება საზოგადოების საწარმოებისა და ქონების წმინდა მოგების ყოველწლიური ანარიცხები-

№ 1 ეროვნული ბიბლიოთეკა

საგან და გამოიყენება საზოგადოების წევრთათვის სოციალურ-საყოფაცხოვრებო მომსახურების, მათი საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესებისათვის და მუშაობაში წარჩინებულთა წახალისებისა და პრემირებისათვის.

28. დახმარების ფონდი იქმნება საწარმოო კომბინატების მოგების ხარჯზე, პრეზიდიუმის მიერ განსაზღვრული ნორმით, საზოგადოების წევრთა დასახმარებლად განსაკუთრებულ შემთხვევებში.

29. საქართველოს მუსიკალური და ქორეოგრაფიული საზოგადოება სარგებლობს იურიდიული პირის უფლებით, ამ წესდებით დასახული ამოცანების განსახორციელებლად უფლება აქვს შეიძინოს ქონება და ფლობდეს მას, დადოს ხელშეკრულებები, ისარგებლოს კრედიტით, გახსნას მიმდინარე ანგარიშსწორებისა და სხვა ანგარიშები ბანკებში, აღძრას სარჩელები და აგოს პასუხი მის წინააღმდეგ აღძრულ სარჩელებზე სასამართლოსა და სახელმწიფო არბიტრაჟში და სხვა.

30. საზოგადოებას აქვს ბეჭედი და შტამპი წარწერით „საქართველოს მუსიკალური და ქორეოგრაფიული საზოგადოების პრეზიდიუმი“.

31. საზოგადოების საქმიანობა შეიძლება შეწყვეტილ იქნას საზოგადოების ყრილობის გადაწყვეტილებით ან მთავრობის დადგენილებით.

საზოგადოების ლიკვიდაციის შემდეგ დარჩენილი მთელი სახსრები და ქონება გადაეცემა ლიკვიდაციის შესახებ მიღებულ სათანადო დადგენილებაში მითითებულ სახელმწიფო ორგანოებს ან საზოგადოებრივ ორგანიზაციებს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

9 პროფესორ მ. ა. პოლიევქტოვის ხსოვნის უკვდავყოფის შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. თბილისის შრომის წითელი დროშის ორდენოსან სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიის ფაკულტეტზე დაწესდეს პროფ. მ. ა. პოლიევქტოვის სახელობის ერთი სტიპენდია 60 მანეთის ოდენობით უნივერსიტეტისათვის დამტკიცებული სასტიპენდიო ფონდის ფარგლებში.

2. დაევალოს თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომს გაუკეთოს მემორიალური დაფა ტაბიძის ქუჩაზე № 21 სახლს, სადაც პროფ. მ. ა. პოლიევქტოვი ცხოვრობდა.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **გ. ჯავახიშვილი.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ზ. ახვლედიანი.**

ქ. თბილისი, 1973 წ. 12 იანვარი, № 14

10 მომსვლელთა მიღების ორგანიზაციისა და მშრომელთა წერილებზე მუშაობის გაუმჯობესების შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო აღნიშნავს, რომ რესპუბლიკის ზოგიერთი სამინისტროსა და უწყების, მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასკომის, საწარმოს, ორგანიზაციის, დაწესებულების, სასწავლებლის ხელმძღვანელები არ იცავენ მომსვლელთა მიღებისა და მოქალაქეთა წერილების განხილვის წესს, რომელიც დადგენილია სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1968 წლის 12 აპრილის პრძანებულებით, რაც იწვევს მშრომელთა სამართლიან უკმაყოფილებას, აგრეთვე აბრკოლებს არსებულ ნაკლოვანებათა და დარღვევათა დროულად გამოვლინებას.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. რესპუბლიკის სამინისტროებისა და უწყებების, აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოების, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, ქალაქებისა და რაიონების მშრომელთა დეპუტატების საბჭოების აღმასკომების უმნიშვნელოვანეს მოვალეობად ჩაითვალოს ის, რომ გააუმჯობესონ მომსვლელთა მიღება, საფუძვლიანად განიხილონ მშრომელთაგან შემოსული ყველა წინადადება, განცხადება და საჩივარი, დროულად გადაწყვიტონ აღძრული საკითხები და შეატყობინონ ავტორებს მიღებული ზომები.

ეროვნული ბიბლიოთეკა

2. დაევალოთ რესპუბლიკის სამინისტროებისა და უწყებების, აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოების, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, ქალაქებისა და რაიონების მშრომელთა დეპუტატების საბჭოების აღმასკომების ხელმძღვანელებს:

ა) პირადად აწარმოონ მომსვლელთა მიღება და ჩააბან ამ საქმეში თავიანთი მოადგილეები, აგრეთვე კოლეგიებისა და აღმასკომების წევრები, დააწესონ მიღების სპეციალური დღეები და საათები, ამასთან გაითვალისწინონ მიღება არასამუშაო დროსაც.

მიიღონ საჭირო ზომები მომსვლელთა მიღების დაწესებული დღეებისა და საათების მტკიცე დაცვისათვის და უზრუნველყონ შესაბამისი აღრიცხვა:

ბ) არ დაუშვან მომსვლელთა მიღების ჩაშლა თათბირების, სხდომების ან სხვა ღონისძიებების გამო;

გ) ამიერიდან არ აწარმოონ მომსვლელთა ჯგუფის ერთდროული მიღება, რაც გამორიცხავს თითოეული მომსვლელისა და მისი საჭიროებებისადმი გულისხმიერი და ყურადღებიანი დამოკიდებულების შესაძლებლობას.

3. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს წერილების ჯგუფის მისაღებში მომსვლელთა მიღება მოხდეს ყოველდღე, შემდეგ საათებში: ორშაბათსა და ხუთშაბათს — 12-დან 20 საათამდე, სამშაბათს, ოთხშაბათსა და პარასკევს — 9-დან 18 საათამდე.

4. დაწესდეს, რომ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე და თავმჯდომარის მოადგილეები, აგრეთვე მინისტრები, სახელმწიფო კომიტეტების თავმჯდომარეები, უწყებათა ხელმძღვანელები, თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოსა და ქ. თბილისის რაიონული საბჭოების აღმასკომების თავმჯდომარეები მომსვლელთა მიღებას აწარმოებენ საერთო დღეს — ორშაბათს 15-დან 20 საათამდე.

5. მომსვლელთა მიღების ორგანიზაციისა და მშრომელთა წერილებზე მუშაობისათვის პასუხისმგებლობა დაეკისროთ უშუალოდ რესპუბლიკის მინისტრებსა და უწყებათა ხელმძღვანელებს, აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოების, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, რესპუბლიკის რაიონებისა და ქალაქების მშრომელთა დეპუტატების საბჭოების აღმასკომების თავმჯდომარეებს და წინადადება მიეცეთ მათ:

ა) ზუსტად იხელმძღვანელონ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1968 წლის 12 აპრილის ბრძანებულებით „მოქალაქეთა წინადადებების, განცხადებებისა და საჩივრების განხილვის წესის შესახებ“.

ბ) დასახონ და განახორციელონ ღონისძიებანი, რომლებიც უზრუნველყოფენ დროულ რეაგირებას მშრომელთა წერილებზე, მტკიცე და ყოველდღიური კონტროლის დაწესებას მათი განხილვის ვადების დაცვისა და სწორად გადაწყვეტისადმი; სისტემატურად გააანალიზონ საჩივრებისა და განცხადებების (განსაკუთრებით განმეორებით შემოსულის) წარმომშობი მიზეზები და განახორციელონ ღონისძიებანი ამ მიზეზების აღმოსაფხვრელად.

გ) პერიოდულად, მაგრამ სულ მცირე წელიწადში ორჯერ, შეამოწმონ მომსვლელთა მიღებისა და მშრომელთა წინადადებების, განცხადებებისა და საჩივ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რების განხილვის მდგომარეობა როგორც ცენტრალურ აპარატებში, ისე ეკონომიკურ უწყებო დაწესებულებებში, ორგანიზაციებსა და საწარმოებში, მოისმინონ ამ შემოწმებათა შედეგები მინისტრთა საბჭოების, კოლეგიებისა და აღმასკომების სხდომებზე და მიიღონ გადაუდებელი ზომები არსებულ ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **ბ. ჯავახიშვილი.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ზ. ახვლედიანი.**

ქ. თბილისი, 1973 წ. 12 იანვარი, № 15

11 საქართველოს სსრ ვაჭრობის სამინისტროს „საქხორცკარაქთევზვაჭრობის“ სისტემაში ხორცითა და ხორცპროდუქტებით მომარაგების თავმოყრის შესახებ

ხორცითა და ხორცპროდუქტებით საცალო სავაჭრო ქსელის, საზოგადოებრივი კვების საწარმოებისა და სხვა მომხმარებლების მომარაგების ერთ ორგანიზაციაში თავმოყრის მიზნით და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1960 წლის 11 ივლისის № 488 დადგენილების ნაწილობრივ შესაცვლელად საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. დაეკისროს 1973 წლის 1 მარტიდან საქართველოს სსრ ვაჭრობის სამინისტროს რესპუბლიკურ საბითუმო კანტორას „საქხორცკარაქთევზვაჭრობას“ ქ. თბილისის მომარაგება ხორცითა და ხორცპროდუქტებით, მათი შეზიდვა საცალო სავაჭრო ქსელში, საზოგადოებრივი კვების საწარმოებში და სხვა მომხმარებელთათვის მიწოდება.

2. საქართველოს სსრ ხორცისა და რძის მრეწველობის სამინისტრომ:

ა) გააუქმოს თბილისის ხორცკომბინატის გასაღების განყოფილება და გადასცეს საქართველოს სსრ ვაჭრობის სამინისტროს ამ განყოფილების ადმინისტრაციულ-სამმართველო პერსონალის 5 საშტატო ერთეული შესაბამისი ხელფასის ფონდითა და მათი შენახვის ზღვრული ასიგნებებით;

ბ) შეუფერხებლად გამოუყოს „საქხორცკარაქთევზვაჭრობის“ კანტორას სპეციალიზებული ავტოტრანსპორტი თბილისის ხორცკომბინატიდან ნახევარფაბრიკატების სავაჭრო ქსელში მისატანად.

№ ეროვნული ბიბლიოთეკა

3. ნება დაერთოს საქართველოს სსრ ვაჭრობის სამინისტროს გაადიდოს „საქხორცკარაქთევზვაჭრობის“ კანტორის საშტატო რიცხოვნობა სამი ერთეულით და შესაბამისად გაზარდოს ხელფასის ფონდი და სამმართველო აპარატის შენახვის ზღვრული ასიგნებანი 1973 წელს ქ. თბილისის სავაჭრო ქსელის რეორგანიზაციის დროს განთავისუფლებული ადმინისტრაციულ-სამმართველო პერსონალის რიცხვის, ხელფასის ფონდისა და ზღვრული ასიგნებების ხარჯზე.

4. დაევალოთ საქართველოს სსრ ხორცისა და რძის მრეწველობის სამინისტროს და საქართველოს სსრ ვაჭრობის სამინისტროს წარუდგინონ საქართველოს სსრ ფინანსთა სამინისტროს შეთანხმებული წინადადებანი ხსენებულ სამინისტროთა 1973 წლის შემოსავალ-გასავლის ბალანსებში ამ დადგენილებიდან გამომდინარე ცვლილებათა შეტანის შესახებ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **ბ. ჯავახიშვილი.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ზ. ახვლედიანი.**

ქ. თბილისი, 1973 წ. 6 თებერვალი, № 63

12 ქალაქ თბილისის ახალი საზღვრების დამტკიცების შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. მოწონებულ იქნეს საქართველოს სსრ სახმშენისა და თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომის მიერ წარმოდგენილი ქ. თბილისის საზღვრების პროექტი, დანართის თანახმად.

განისაზღვროს ქ. თბილისის ტერიტორიის საერთო ფართობი ქალაქის ფარგლებში 35.950 ჰექტარის ოდენობით.

2. თბილისის ახალი საზღვრების პროექტი დასამტკიცებლად წარედგინოს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმს.

3. აეკრძალოს ყველა მიწათმოსარგებლეს ყოველგვარი სახეობის კაპიტალურ ნაგებობათა მშენებლობა და მრავალწლოვანი კულტურების გაშენება ქალაქის დამტკიცებულ ფარგლებში თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომთან შეუთანხმებლად.

მოყოლებული 1976 წლიდან, მრავალწლოვანი კულტურები ქ. თბილისის ფარგლებში გაშენდეს საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროსთან, საქართველოს სსრ საბჭოთა მეურნეობების სამინისტროსთან შეთანხმებული და თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომის მიერ დამტკიცებული ქ. თბილისის მიწათსამეურნეო მოწყობის პროექტის სრული შესაბამისობით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

4. დაევალოთ საქართველოს სსრ საბჭოთა მეურნეობების სამინისტროსა და თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომს გაითვალისწინონ 1973-1975 წლების საპროექტო სამუშაოთა გეგმაში შესაბამისი ლიმიტები ქ. თბილისის მიწათსამეურნეო მოწყობის პროექტის შესამუშავებლად სპეციალიზებული საპროექტო ორგანიზაციის მონაწილეობით და უზრუნველყონ ამ პროექტის დამთავრება 1975 წლის ბოლომდე.

5. დაწესდეს, რომ ქალაქის ფარგლებში მოქცეული საბჭოთა მეურნეობებისა და სხვა სასოფლო-სამეურნეო მიწები, აგრეთვე ტყის სავარგულები რჩება საბჭოთა მეურნეობებისა და სატყეო მეურნეობის ორგანიზაციების სარგებლობაში, და ეს მიწები ქალაქს მის განვითარებასთან დაკავშირებით ყოველ ცალკეულ შემთხვევაში უნდა გადაეცეს მოქმედი კანონმდებლობის საფუძველზე.

6. დაევალოს თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომს წარმოადგინოს 1973 წლის 1 ივლისამდე საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს განსახილველად ქ. თბილისის ადმინისტრაციულ რაიონებად ახალი ტერიტორიული დაყოფის პროექტი.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **ბ. ჯავახიშვილი.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ზ. ახვლედიანი.**

ქ. თბილისი, 1973 წ. 8 თებერვალი, № 70

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
1973 წლის 8 თებერვლის № .70
დადგენილების დანართი

ქ. თბილისის საზღვრების აღწერილობა

ქ. თბილისის საზღვარი იწყება ჩრდილოეთით — 746 მაღლობზე (№ 1 წერტილი, საგურამოს ნაკრძალის საზღვარზე), შემდეგ მიჰყვება ამ საზღვარს აღმოსავლეთით 762 მაღლობამდე (№ 2 წერტილი), აქედან დევრისქედისაკენ — 745,8 მაღლობისაკენ (№ 3 წერტილი), შემდეგ სამხრეთ-აღმოსავლეთით 733,2 მაღლობისაკენ (№ 4 წერტილი), ნასერალის ქედით უსახელო ხევამდე (№ 5 წერტილი), უხვევს ხევის გასწვრივ სამხრეთ-დასავლეთით, ჰკვეთს მდ. ხევძმარას 562,6 ნიშნულზე (№ 6 წერტილი) და მიდის 659,1 მაღლობისაკენ (№ 7 წერტილი).

ამ წერტილიდან იგი ეშვება ხევამდე (№ 8 წერტილი), შემდეგ მიჰყვება ხევს 592 მაღლობამდე (№ 9 წერტილი), გასდევს მომდევნო ხევს 702 მაღლობამდე (№ 10 წერტილი), უხვევს აღმოსავლეთით კვლავ ხევის გასწვრივ, ადის მისი გაყოლებით ზემოთ 800 ჰორიზონტალამდე (№ 11 წერტილი) და შემდეგ მიჰყვება ამ ჰორიზონტალს ხევამდე (№ 12 წერტილი). შემდეგ ხევის გაყოლებით მიდის 875 ჰორიზონტალამდე (№ 13 წერტილი), აღწევს ამ ჰორიზონტალს ღარტაფამდე მაღალი ძაბვის ელექტროგადამცემი ხაზის გადაკვეთის ადგილში (№ 14 წერტილი), იქიდან მიემართება 1088,5 მაღლობისაკენ (№ 15 წერტილი), 1062 მაღლობის (№ 16 წერტილი) გავლით წყალსაცავისაკენ (№ 17 წერტილი), შემდეგ 1045,1 მაღლობისაკენ (№ 18 წერტილი), ეშვება ხევით შარაგზის გადაკვეთამდე (№ 19 წერტილი) და, გადაჰკვეთს რა ჯოჯონახევის დასაწყისს (№ 20 წერტილი), ამ ხევით აღწევს ზემო სამგორის სარწყავ არხამდე (№ 21 წერტილი), შემდეგ არხის გაყოლებით მიდის ლოჭინოს ხევამდე (№ 22 წერტილი).

ლოჭინოს ხევით საზღვარი ჯერ მიემართება სამხრეთით, შემდეგ სამხრეთ-დასავლეთით თბილის—ბაქოს რკინიგზამდე (№ 23 წერტილი), აქედან სპეცტერიტორიას მიჰყვება დასავლეთის მიმართულებით მდინარე მტკვრის გადაკვეთამდე (№ 24 წერტილი) და მისი გაყოლებით — საქართველოს სასწავლო-კვლევითი ზოოვეტერინარული ინსტიტუტის კრწანისის სასწავლო-საჩვენებელი მეურნეობის ტერიტორიის საზღვრამდე (№ 25 წერტილი) და, გაჰყვება რა მას ჩრდილო-დასავლეთით 450 ჰორიზონტალამდე (№ 26 წერტილი), მიემართება ამ ჰორიზონტალით ჩრდილოეთისაკენ, ხოლო გორაკის ძირში უხვევს ჩრდილო-დასავლეთით ცივი ხევისაკენ (№ 27 წერტილი).

მარნეულის გზატკეცილისაკენ ამ ხევის გაყოლებით ქალაქის საზღვარი ჰკვეთს გზატკეცილს 450 ნიშნულზე (№ 28 წერტილი), შემდეგ მიდის ჩრდილოეთით 578,2 მაღლობისაკენ (№ 29 წერტილი), საიდანაც უხვევს დასავლეთით 645,8 მაღლობისაკენ (№ 30 წერტილი), მიუყვება ზეგნის სამხრეთ კიდეს, ქალაქის ფარგლებში შავნაბადას მონასტრის ჩათვლით, მიდის თელეთის მერძევეობის საბჭოთა მეურნეობის საზღვრამდე (№ 31 წერტილი) და შემდეგ ტაბახმელის ბიოკომბინატის საზღვრამდე ორთახევთან 664,4 ნიშნულზე გადა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

კვეთამდე (№ 32 წერტილი), ამ ხევით საზღვარი 881,7 მაღლობის გავლით მიდის 975 ჰორიზონტალისაკენ (№ 33 წერტილი), მიუყვება ამ ჰორიზონტალს გიბუთხევამდე (№ 34 წერტილი), შემდეგ 650 ჰორიზონტალით მიემართება წყნეთიდან მომავალი ხევის გადაკვეთამდე (№ 35 წერტილი), ადის ამ ხევის ზედაკიდემდე (№ 36 წერტილი), და ღარტაფით გამოდის 783,2 მაღლობისაკენ (№ 37 წერტილი), შემდეგ იგი მიემართება დასავლეთით წყნეთის გზატკეცილის გადაკვეთამდე 851 ნიშნულზე (№ 38 წერტილი), უხვევს ჩრდილო-დასავლეთით და აღწევს მდინარე ვერას გადაკვეთამდე (№ 39 წერტილი), შემდეგ მდინარე ვერას გაყოლებით წმინდაწყლამდე (№ 40 წერტილი) და 627,3 მაღლობამდე (№ 41 წერტილი), უხვევს ჩრდილოეთით და მიემართება 684 მაღლობისაკენ (№ 42 წერტილი), უხვევს ჩრდილო-დასავლეთით 853 მაღლობამდე (№ 43 წერტილი), შემდეგ 760,2 მაღლობის (№ 44 წერტილი), 896 მაღლობის (45 წერტილი), 701 მაღლობის (№ 46 წერტილი) გავლით მიდის მდინარე დიღმისწყლის გადაკვეთამდე (№ 47 წერტილი).

შემდეგ ქალაქის საზღვარი 603 მაღლობისა (№ 48 წერტილი) და 675,4 მაღლობის (№ 49 წერტილი) გავლით აღწევს მილისხევს. ამ ხევის გავლით სამხრეთ-აღმოსავლეთით საზღვარი უხვევს (№ 50 წერტილი) პატარა ხევით 706 მაღლობისაკენ (№ 51 წერტილი). 702 მაღლობისა (№ 52 წერტილი) და 686 მაღლობის (№ 53 წერტილი) გავლით იგი აღწევს ხევს, ადის მასზე და უხვევს ხევის განშტოებასთან 905 მაღლობისაკენ (№ 54 წერტილი), 910 მაღლობის (№ 55 წერტილი) გავლით მიდის 775 მაღლობისაკენ (№ 56 წერტილი) და, გადის რა მცხეთის რაიონის საზღვართან, მისი გაყოლებით № 57 წერტილის გავლით აღწევს 652 მაღლობს (№ 58 წერტილი), ადის 748 მაღლობზე (№ 59 წერტილი) და შემდეგ უერთდება № 1 საწყის წერტილს (746 მაღლობი).

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ზ. ახვლედიანი.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

13 „ქ. ახალციხეში „რაბათის“ ყოფილი ციხე-სიმაგრის ტერიტორიის კეთილმოწყობის შესახებ“ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1969 წლის 3 ივლისის № 393 დადგენილების გაუქმების შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. **აღინიშნოს, რომ „ქ. ახალციხეში „რაბათის“ ყოფილი ციხე-სიმაგრის ტ**ერიტორიის კეთილმოწყობის შესახებ“ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1969 წლის 3 ივლისის № 393 დადგენილებით გათვალისწინებული დავალებები ახალციხის რაიონის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასკომს, საპროექტო ინსტიტუტ „საქქალაქმშენსახპროექტს“, საქართველოს ტურიზმისა და ექსკურსიების რესპუბლიკურ საბჭოს, საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროს, საქართველოს სსრ ვაჭრობის სამინისტროს, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სატყეო მეურნეობის სახელმწიფო კომიტეტსა და საქართველოს აკად. ს. ჯანაშიას სახელობის სახელმწიფო მუზეუმს დაწესებულ ვადებში არ შეუსრულებიათ, რაც იმის შედეგია, რომ მათ არ გამოიჩინეს საჭირო დაინტერესება და ყურადღება, თუმცა საკითხის მომზადების დროს მთლიანად დაეთანხმნენ დადგენილების პროექტს.

2. ძალადაკარგულად ჩაითვალოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1969 წლის 3 ივლისის № 393 დადგენილება.

3. დაევალოთ ახალციხის რაიონის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასკომსა და საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროს სახალხო მეურნეობის განვითარების გეგმებში ყოველწლიურად შეიტანონ ახალციხის „რაბათის“ ყოფილი ციხე-სიმაგრის ტერიტორიის კეთილმოწყობის გენერალური გეგმით გათვალისწინებული სამუშაოები.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **ბ. ჯავახიშვილი.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ზ. ახვლედიანი.**

ქ. თბილისი, 1973 წ. 14 თებერვალი, № 75

ეროვნული ბიბლიოთეკა

14 იმ თანამდებობათა ნომენკლატურის გაფართოების შესახებ, რომლებიც უმაღლესი იურიდიული განათლების მქონე სპეციალისტებს უნდა ეკავოთ

მშრომელთა დეპუტატების რაიონული და საქალაქო საბჭოების აღმასკომების აპარატის საქმიანობის სამართლებრივი დონის ამაღლების მიზნით საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. დაევალოთ მშრომელთა დეპუტატების საქალაქო და რაიონული საბჭოების აღმასკომებს, აღმასკომების მდივნებისა და საერთო, იურიდიული, შინაგან საქმეთა, საორგანიზაციო-საინსტრუქტორო, სოციალური უზრუნველყოფის, საცხოვრებელი ფართობის აღრიცხვისა და განაწილების განყოფილებების, აგრეთვე მოქალაქეობრივი მდგომარეობის აქტების ჩასაწერი ბიუროების გამგეთა თანამდებობების განთავისუფლებისას მათ დასაკავებლად დააწინაურონ, როგორც წესი, უმაღლესი იურიდიული განათლების მქონე პირნი.

2. დაევალოთ საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტსა და საქართველოს სსრ უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტროს იურიდიული კადრების მომზადების დაგეგმვისას გაითვალისწინონ, რომ ამ დადგენილების 1-ლ პუნქტში აღნიშნული თანამდებობანი თანდათანობით უნდა დაიკავონ უმაღლესი იურიდიული განათლების მქონე სპეციალისტებმა.

3. დაევალოს საქართველოს სსრ უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტროს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორატთან ერთად შეიმუშაოს და განახორციელოს ღონისძიებანი იურიდიულ ფაკულტეტზე სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის დონის ასამაღლებლად, იურიდიული კადრების მომზადების გასაუმჯობესებლად და არა უგვიანეს მიმდინარე წლის 10 აპრილისა მოახსენოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მიღებული ზომების შესახებ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **ბ. ჯავახიშვილი.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ზ. ახვლედიანი.**

ქ. თბილისი, 1973 წ. 15 თებერვალი, № 76

ეროვნული ბიბლიოთეკა

15 მწერალ პოლიკარპე კაკაბაძის ხსოვნის უკვდავყოფის შესახებ

გამოჩენილი მწერლის, ქართული საბჭოთა დრამატურგიის ერთ-ერთი ფუძემდებლის პოლიკარპე კაკაბაძის ხსოვნის უკვდავყოფის მიზნით საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. მიეკუთვნოს პოლიკარპე კაკაბაძის სახელი ქ. ბათუმის № 26 საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო სკოლასა და წულუკიძის რაიონულ საბავშვო ბიბლიოთეკას.

2. დაევალოს თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომს მიაკუთვნოს პოლიკარპე კაკაბაძის სახელი ქ. თბილისის ერთ-ერთ ქუჩას და გაუკეთოს მემორიალური დაფა სახლს ქ. თბილისში, სადაც ცხოვრობდა მწერალი.

3. დაევალოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს გამომცემლობათა, პოლიგრაფიისა და წიგნის ვაჭრობის საქმეთა სახელმწიფო კომიტეტს დაბეჭდოს ქართულ ენაზე პოლიკარპე კაკაბაძის ნაწარმოებთა აკადემიური გამოცემა და რუსულ ენაზე — ერთტომეული.

4. დაარსდეს საქართველოს შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო თეატრალურ ინსტიტუტში პოლიკარპე კაკაბაძის სახელობის ერთი სტიპენდია 50 მანეთის ოდენობით ინსტიტუტისათვის დამტკიცებული სასტიპენდიო ფონდის ფარგლებში.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **გ. ჯავახიშვილი.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ზ. ახვლედიანი.**

ქ. თბილისი, 1973 წ. 15 თებერვალი, № 81

ეროვნული ბიბლიოთეკა

16 მწერალ იაკინთე ლისაშვილის ხსოვნის უკვდავყოფის შესახებ

ცნობილი ქართველი მწერლისა და საზოგადო მოღვაწის, ძველი ბოლშევიკის იაკინთე ლისაშვილის ხსოვნის უკვდავყოფის მიზნით საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. მიეკუთვნოს იაკინთე ლისაშვილის სახელი მახარაძის № 2 საქალაქო ბიბლიოთეკასა და მახარაძის რაიონის სოფელ ორმეთის რვაწლიან სკოლას.

2. დაევალოს თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომს მიაკუთვნოს იაკინთე ლისაშვილის სახელი ქ. თბილისის ერთ-ერთ ქუჩას და გაუკეთოს მემორიალური დაფა სახლს ქ. თბილისში, სადაც ცხოვრობდა მწერალი.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **გ. ჯავახიშვილი.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ზ. ახვლედიანი.**

ქ. თბილისი, 1973 წ. 15 თებერვალი, № 82

17 საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1965 წლის 3 დეკემბრის № 710 დადგენილების დამატების შესახებ

საქართველოს სსრ ტერიტორიაზე არსებული მკვდარი ბუნების ძეგლების დაცვისა და შენარჩუნების მიზნით საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

მიღებულ იქნეს საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ბუნების დაცვის რესპუბლიკური კომისიის წინადადება და სახელმწიფო დაცვას დაექვემდებაროს დაბა ბაკურიანში მდებარე მუხერის ვულკანური ცენტრი 500 მეტრი რადიუსით და დაემატოს იგი საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1965 წლის 3 დეკემბრის № 710 დადგენილების მეშვიდე დანართში ჩამოთვლილ მკვდარი **ბუნების ძეგლებს, რომლებიც სახელმწიფო დაცვას ექვემდებარებიან.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **გ. ჯავახიშვილი.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ზ. ახვლედიანი.**

ქ. თბილისი, 1973 წ. 26 თებერვალი, № 98

ეროვნული ბიბლიოთეკა

18 საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1972 წლის 9 ივნისის № 323 დადგენილების მე-5 პუნქტის ძალადაკარგულად ჩათვლის შესახებ

„კოლმეურნეობებში, საბჭოთა მეურნეობებსა და სხვა სასოფლო-სამეურნეო საწარმოებსა და ორგანიზაციებში კაპიტალური მშენებლობის იჯარის ტიპობრივ ხელშეკრულებათა დამტკიცების საკითხებზე სსრ კავშირის მთავრობის გადაწყვეტილებათა ძალადაკარგულად ჩათვლის შესახებ“ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1973 წლის 19 იანვრის № 48 დადგენილების შესაბამისად საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. ძალადაკარგულად ჩაითვალოს მე-5 პუნქტი საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1972 წლის 9 ივნისის № 323 დადგენილებისა „სოფლად სატელეფონო კავშირის განვითარების ღონისძიებათა შესახებ.“

2. მიღებულ იქნეს ცნობად, რომ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1973 წლის 19 იანვრის № 48 დადგენილებით რჩევა მიეცათ კოლმეურნეობებს, მათი ძირითადი საქმიანობისათვის ზიანის მიუყენებლად, დახმარება გაუწიონ სახელმწიფო საიჯარო სამშენებლო-სამონტაჟო ორგანიზაციებს, რომლებიც ახორციელებენ მშენებლობას კოლმეურნეობებში, იმ გზით, რომ გამოუყონ მუშახელი დამხმარე სამუშაოთა შესასრულებლად, აგრეთვე სატრანსპორტო საშუალებანი.

ამასთან დაკავშირებულ ხარჯებს გაიღებენ აღნიშნული სამშენებლო-სამონტაჟო ორგანიზაციები თავიანთი სახსრებიდან.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **გ. ჯავახიშვილი.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ზ. ახვლედიანი.**

ქ. თბილისი, 1973 წ. 28 თებერვალი, № 100

ეროვნული ბიბლიოთეკა

19 საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსის ვ. ი. მამასახლისოვის ხსოვნის უკვდავყოფის შესახებ

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსის ვაჟან ივანეს ძე მამასახლისოვის ხსოვნის უკვდავყოფის მიზნით საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. დაევალოს საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიას:

ა) გამოსცეს ვ. მამასახლისოვის რჩეულ ნაშრომთა კრებული;

ბ) დადგას ვ. მამასახლისოვის საფლავზე განსვენებულის ბიუსტი.

2. დაწესდეს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფიზიკის ფაკულტეტის წარჩინებული სტუდენტებისათვის ვ. მამასახლისოვის სახელობის ერთი სტიპენდია საქართველოს სსრ უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტროსათვის დამტკიცებული სასტიპენდიო ფონდის ხარჯზე.

3. დაევალოს თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომს:

ა) მიაკუთვნოს ვ. მამასახლისოვის სახელი თბილისის ერთ-ერთ ქუჩას;

ბ) გაუკეთოს მემორიალური დაფა სახლს, სადაც ცხოვრობდა ვ. მამასახლისოვი.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **გ. ჯავახიშვილი.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ზ. ახვლედიანი.**

ქ. თბილისი, 1973 წ. 28 თებერვალი, № 103

СОБРАНИЕ ПОСТАНОВЛЕНИЙ ПРАВИТЕЛЬСТВА ГРУЗИНСКОЙ ССР

№ 1 за 1973 год

ᲒᲐᲛᲝᲛᲪᲔᲛᲔᲚᲘ: საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტრო

ხელმოწერილია დასაბეჭდად 29/VI-73 წ. ქაღალდის ზომა 70×108 1/16,
საბეჭდი თაბახი 3,5, სააღრიცხვო თაბახი 3,5.

წლიური ხელმოწერის ფასი 8 მან.

შეკვეთა № 267 უე 05641 ტირაჟი 1950

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს საქმეთა მმართველობის სტამბა
თბილისი, რუსთაველის გამზირი № 8.

ბ 61/136

ეროვნული
ბიბლიოთეკა